ხუთშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 10 № 190

წელიწადი მეოთხე

ხუთშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 10 № 190

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15--73**

## უკანასკნელი ცნობები

მოსკოვიდან მოსულ ცნობით გერმანიაში ახალი მთავრობა საბოლოოდ შესდგა. მისი უპირველესი ნაბიჯი საზავო წინადადებაა, რომელიც ემყარება ვილსონის 14 მუხლს. პასუხი მოკავშირეთაგან ჯერ არ მოსულა.—ავსტრიაში ჩეხები და „იუგო-სლავიანები“ დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან; პოლონელები მოითხოვენ ავსტრიის პოლონეთის დამოუკიდებლობას.—იმავ წყაროს ცნობით მოლაპარაკება უკრაინასა და რუსეთს-შორის შესწყდა.—დასავლეთის ასპარეზზე მოკავშირეთა შეტევანი გრძელდება.—კამბრესა და სენ-კანტენს შუა, აგრეთვე მაასთან სასტიკი ბრძოლებია.—ფრანგებს აუღიათ სიმაღლე 134, წამოუყვანიათ ტყვე 1200 კაცი. მდ. ენის მარჯვენა ნაპირზე მათ ნანსონამდე მიაღწიეს.—პალესტინის ასპარეზზე სრული სიწყნარეა

7 ღვინობისთვეს, დილის 9 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**კნეინა ნატალია დავითის ასული**

**ავალიშვილისა**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი იულია ივანეს ასული ბარათაშვილისა, ძმა ზაალ დავითის ძე ბარათაშვილი, და მისი: ეკატერინე სულხანიშვილისა, ბარბარე ბაგრატიონ-დავითაშვილისა, ნინო ქიქოძისა, და ანასტასია ჯანდიერისა მეუღლებითურთ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დავიდოვის შესახვევში სახლი № 12. (12—1795—2)

7 ღვინობისთვეს დილის 9 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**კნეინა ნატალია დავითის ასული**

**ავალიშვილისა**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი მისი ილია ნიკოლოზის ძე ავალიშვილი, დედამთილი მარიამ გიორგის ასული ავალიშვილისა, მული ეკატერინე ნიკოლოზის ასული ვახვახიშვილისა და მაზლი ვასილ ნიკოლოზის ძე ავალიშვილი ოჯახობითურთ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დავიდოვის შესახვევი სახლი № 12. (2—1796—2)

გულ-დათუთქული მშობლები: ანნა ივლიანეს ასული და მელქისედეკ (ბუხუტი) აპოლონის ძე მიქელაძეები აუწყებენ ნათესავთ, რომ მათი დაუვიწყარი, ერთად ერთი ნუგეში შვილი

**ნინო (ნინოჩკა)**

გარდაიცვალა ამ ოქტომბრის 8-ს. დაკრძალვა მოხდება დღეს ნაშუადღევის 4 საათზე. (1—1797—1)

**სახელმწიფო თეატრი**

საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია [illegible]

ხუთშაბათს, ღვინობისთვის 10-ს, დაიდგმის

**დუბროვსკი**

ოპერა 4 მოქმედებად. მუსიკა ნაპრავნიკისა.

**მონაწილეობას იღებენ:** შვამბერგი, იანსა, ოვსიანიკოვისა, კანშინი, ბალაბანი, ზუბარევი, ისეცკი, მოლჩანოვი, დემიანენკო, ეზროვი, და კურბატოვი.

**დირიჟორი სამოსუდი.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

პარასკევს, 11 ოქტომბერს—„პიკოვაია დამა“.

**ხელის მომწერთა საყურადღებოდ.**

**„საქართველოს“ კონტორა მოაგონებს თბილისსა და პროვინციის ხელის მომწერთ, რომ ვისაც გაზეთის ხვედრი ფული არ გადაუხდია უნდა შემოიტანონ 10 ღვინობისთვემდე წინაალმდეგ, შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ.** 5—5

**თბილ. კომიტეტი აცხადებს,**

რომ ლოტარიის წიგნაკი № 35 (851—875) რომელიც ჩაბარებული იყო კომიტეტის მიერ ბ-ნ ტ. გოგიტიძესთვის, დაკარგულა.. ყველა ბილეთები, რომელიც ხელმოუწერელი იქნება ბ-ნ გოგიტიძის მიერ ყალბათ ჩაითვლება. (1026)

**თბილ. კომიტეტი აცხადებს,**

რომ ლოტარიის წიგნაკი № 21 (501—5251) რომელიც კომიტეტის მიერ გადაცემული იყო კალისტრატე ბერიძესთვის ბილეთების გასასყიდათ, დაკარგულა. ამ წიგნაკიდან ყალბათ ჩაითვლება შემდეგი №№ 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524. (1026)

**კაფე „ერთობა“**

კაფე „ერთობა“, კაფე „ერთობა“,
რა საგულისხმო გასაგონია!
ამაზე **იაფ ჯან-საღ სადილსა**
ვერსად ვერ ჰპოვებთ არა მგონია.

**ორ თავ სადილში, თავისი პურით,**
თქვენ „ერთობაში“ **შვიდ მანეთს მისცემთ,**
და მადლიერი მორთმეულ კერძით
კაფე „ერთობას“ მუდამ პატივს სცემთ.

**ქართულ კლუბის ქვეშ** კაფე „ერთობას“
ვინ არ იპოვის, ვინ არ მიაგნებთ?
სადაც კი გინდათ დაგიგვიანდეთ
კაფე „ერთობის“ სადილს მიასწრებთ. 25—4

## შავი ზღვის სანაპიროსათვის

გაზეთს „ერთობასა“ და „ბორბაში“ იბეჭდება სტენოგრაფიული ანგარიში ევ. გეგეჭკორის მოლაპარაკებისა გენ. ალექსეევის შტაბთან და ყუბანის მთავრობასთან. ანგარიში ძლიერ საყურადღებოა და ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი ზრახვებით არიან გამსჭვალულნი ჩვენდა მიმართ ის წრეები, რომელთაც ფაქტიური ძალა-უფლება ყუბანის ოლქში ამ ჟამად თავისს ხელში აქვთ და გენ. ალექსეევის მეთაურობით ილვწიან დიდ რუსეთის აღდგენისათვის მონარქიულ საფუძველზე. ამ ძალასთან შედარებით, რომელსაც მოხალისეთა ჯარი ეწოდება, სრულიად მიჩქმალულია ყუბანის მთავრობა, რომელიც საქართველოს მიმართ, როგორც სჩანს, უფრო ზომიერ ტაქტიკის მომხრეა და თანამედროვე პირობებში თავისი უძლურებისა გამო ვერც ვერავითარ აგრესობას გამოიჩენს. სულ სხვაა, რასაკვირველია, მოხალისეთა ჯარი გენ. ალექსეევისა, რომელიც ეხლაც სულ მოკლე ხნის მუშაობის შემდეგ, უკვე საგრძნობელს ძალას წარმოადგენს და მომავალშიც, ეჭვს გარეშეა, შინაურ არევ-დარევისაგან დაქანცულ და სასოწარკვეთილ ელემენტებში ახალს მომხრეებს იშოვნის. დავუმატოთ ამას თვით ენერგიული და სამხედრო ნიჭით და მომზადებით აღჭურვილი პიროვნება გენ. ალექსეევისა, რომელიც განსაზღვრულ გეგმით მოქმედებს და ფრთხილად, მაგრამ მედგრად თავისს მიზნისაკენ მიისწრაფება, რომ ჩვენ ნათლად წარმოგვიდგეს, თუ რა საფრთხე მოელის ჩვენი სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვრებს, თუ გენ. ალექსეევმა მოახერხა თავისი სამხედრო ძალის ჩვენს წინააღმდეგ ამოძრავება. ხოლო შესაძლებლობა ასეთი ამოძრავებისა თუ კი ობიექტიური პირობები ამას ხელს შეუწყობენ, ფრიად ადვილი მოსალოდნელია, თუ კი მხედველობაში მივიღებთ იმ აზრთა სხვა და სხვაობას, რომელმაც თავი იჩინა ეკატერინოდარში მოლაპარაკების დროს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებსა და გენ. ალექსეევის შტაბს შორის და აგრეთვე იმ ღვარძლიანობას, რომელიც ბუდობს ახლა საქართველოში თავის პრივილეგიურ მდგომარეობის დაკარგვით გაბოროტებულ რუსობაში.

ჩვენს რესპუბლიკას არ შეუძლია, რასაკვირველია, უარი სთქვას თავისი მიჯნების უზრუნველყოფაზე შავიზღვის ნაპირას, არ ძალუძს უარი განაცხადოს იმ ტერიტორიაზედ, რომელიც ეკონომიურის თვალსაზრისით მძლავრად გადაბმულია ჩვენი ქვეყნის ინტერესებთან და გეოგრაფიულად წარმოადგენს პირდაპირს გაგრძელებას სოხუმის ოლქისას. სოჭისა და თუაფსეს ოლქი გელენჯიკის ხაზამდის არ არის ბუნებრივი ფარგალი, რომლითაც უნდა განისაზღვროს ჩრდილოეთ-დასავლეთის მიჯნა ჩვენი რესპუბლიკისა, თუ კი მას სურს მშვიდობიან და გარეშე ძალთაგან შეუშფოთველ განვითარებას ეწიოს შავი ზღვის სანაპიროს. სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფო ცხოვრების მაჯის ცემა განელილ მონობის შემდეგ, პირველ ხანებში მაინც, ფრიად სუსტი გამოდგა და ჩვენი საარსებო მიზნები მრავლად შეუსრულებელი დარჩა. თუაფსეს ოლქი ამჟამად დაკარგულია ჩვენთვის და ევ. გეგეჭკორს ბედად ხვდა ეს დაკარგული ოფიციალურად დაედასტურებინა ეკატერინოდარში გამართულ მოლაპარაკების დროს. მით უმეტეს ყურადღების ღირსია ამ ჟამად სოჭის ოლქი, ეს ნამდვილი გასაღები მთელი სოხუმის ოლქისა, ურომლისოდ არა თუ ჩვენი მდგომარეობის განმტკიცება შავი ზღვის პირას, არამედ საზოგადოდ უზრუნველყოფა ჩვენი მომავლისა დასავლეთ მიჯნიდან ყოვლად წარმოუდგენელია. ეთნოგრაფიულადაც სოჭის ოლქი განსაკუთრებულ მდგომარეობაშია და თავისი ინტერნაციონალური მოსახლეობით (აქ ცხოვრობენ როგორც რუსები, ქართველები და სომხები, ისე ესტონელები, მოლდავანელები, ბერძნები) სრულებით განსხვავდება ყუბანის ოლქისაგან და თვით თუაფსეს რაიონისაგან, სადაც თუმცა შენახულია აქამდის ნაშთი რუსთა გამოყრილ ჩერქეზებისა, მაგრამ საერთოდ ჯერჯერობით კიდევ რუსობა სჭარბობს. და თუ მიუხედავად ამისა ბოლშევიკებთან ბრძოლაში გართული გენ. ალექსეევი მაინც ცალი თვალით სამხრეთისკენ იყურება და საქართველოს მის ბუნებრივ მიჯნას ეცილება, ეს ცხადი მაჩვენებელია იმისი, რომ აგრესიული რუსული ნაციონალიზმი, რომელსაც ჩვენ აქ გაბოროტებულ რუსულ აფიცრობისა და ჩინოვნიკების სახით ვხედავთ, ყუბანის ოლქში რეალურ ძალად იქცა და ჩვენს წინააღმდეგაც ამხედრებას არ დააყოვნებს, თუ კი გარემოებამ ხელი შეუწყო.

გენ. ალექსეევის პოლიტიკა არსებითად იგივეა, რაც ჩვენში დაბუდებულ და ხშირად ჩვენსავე ხარჯზედ მცხოვრებ საქართველოს მტერ-მოყვარეებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოხალისეთა ჯარის ხელმძღვანელნი გარედან აპირებენ ჩვენი რესპუბლიკის კედლის შენგრევას, ხოლო აქ ფეხმომაგრებულნი მტერნი შიგნიდან განაგრძობენ თავის დეზორგანიზატორულ და მავნე პარაზიტულ მოღვაწეობას. სწორედ ამიტომაც გასაკვირალი არ არის, რომ გენ. ალექსეევმა და მისმა ამყოლთ თავისს მფარველობაში მიიღეს ჩვენში მყოფი რუსის ჩინოვნიკობა და აფიცრობა და რუსთა არ არსებულ დევნას ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. მართლაც, რუსთა რაიმე დევნასა და შევიწროებაზედ ლაპარაკი ყველას, ვინც ჩვენს ცხოვრებას რამოდენადმე მაინც იცნობს და ობიექტიურ მსჯელობის უნარს არ არის მოკლებული, მხოლოდ ღიმილს მოგვრის. ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი ჩვენში განაგრძობენ ძველ ყაიდაზე მოღვაწეობას, მრავალ დაწესებულებაში ქართველთა ან საზოგადოდ ქართული ენის მცოდნეთა რიცხვი უმცირესობას შეადგენს და ამის გამო საქმის წარმოებაც თითქმის ყველგან კვლავინდებურად უცხო ენაზედ სწარმოებს. იმ დროს, როდესაც ყველაზედ უფრო საჭირო უნდა ყოფილიყო მჭიდროდ შეკავშირება და ქვეყნის და ერის ყველა ცოცხალ ძალთა გამოყენება ახალ ცხოვრების მოსაწყობად, მთელი სახელმწიფო აპარატი რჩება საქართველოსთვის უცხო და მასთან ხშირად, აშკარად თუ ფარულად მტრულ განწყობილებაში მყოფ ელემენტების ამარა, რომელნიც, რასაკვირველია, სრულიადაც არ არიან დაინტერესებულნი ცხოვრების ახალი ნორმების განმტკიცებით. ნაციონალიზაცია მთელი ჩვენი ცხოვრებისა და კერძოდ სახელმწიფო აპარატისა, ნაციონალიზაცია არსებითი ენისა და ეროვნულ სულისა და ხასიათის მხრივ ლამის საოცნებო და ძნელად მისაღწევ იდეალად გაგვიხდეს. ამაში გამოიხატება ჩვენი სინამდვილის ტრაგიზმი და განსაკუთრებით საქართველოს ბედის მესვეურთა უუნარობა ახალი ცხოვრების მოწყობისათვის და ამ დროს კვლავ ეს სწორედ რომ ჩვენი უილაჯობის დამცინავი და შოვინისტური კილოთი გაჟღენთილი ყიჟინა დევნისა და შევიწროების შესახებ! ჭეშმარიტად, საქართველოს ბედი არ უწერია.

ეკატერინოდარში გამართულ მოლაპარაკების დროს ყურადღებას იქცევს ყუბანის მთავრობის პოზიცია. როგორც შეჰფერის სუსტს და ყოველს ღონეს მოკლებულ მთავრობას,—მთელი ძალაუფლება ყუბანის ოლქში, როგორც ცნობილია, ეკუთვნის გენ. ალექსეევს,—ის ადგია ძალიან ფრთხილ და რამოდენადმე შემარიგებელ ტაქტიკას. მაგრამ ამავე მთავრობის წარმომადგენელმა ვორობიოვმა გამოამჟღავნა იქვე ნამდვილი გულის ნადები ყუბანის ხელმძღვანელ წრეებისა, როდესაც გაგრის რაიონს წაეპოტინა და აფხაზეთის რუსულ ორიენტაციაზედაც დაიწყო ლაპარაკი. ეს გარემოება ცხადად გვიჩვენებს, რომ შავი ზღვის სანაპიროზედ ჩვენი მიჯნის მოგვარების საქმეში ჩვენ ჩრდილოეთით მხარს აღარავინ დაგვიჭერს. საქართველოს დემოკრატიამ უნდა იზრუნოს საკუთარი ძალით ამ საკითხის გადასაწყვეტად და ენერგიულად შეუდგეს, სანამ დაკარგულის დაბრუნება შესაძლებელი იქნება, იმის შენარჩუნებას მაინც, რაც კიდევ ჩვენს ხელთ არის. შავი ზღვის სანაპიროზედ ჩვენი საზღვრები უნდა უზრუნველყოფილ იქმნას, ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის თავისუფალი მამავალი და მისი ინტერესები.

ს. კაკაბაძე.

## ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობისათვის

რამდენიმე დღის წინათ ოსმალეთის რწმუნებული ქერიმ ფაშა ესტუმრა საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნს ჩხეიძეს და გამოსთქვა სურვილი, რომ საქართველოსა და ოსმალეთს შორის დამყარდეს და განმტკიცდეს მეგობრული ურთიერთობა.

ქერიმ ფაშას სურვილი, უეჭველია, გულწრფელია. ასეთივე გულწრფელი ტონი ისმოდა სტამბოლიდან, ტრაპეზუნდიდან და ბათომიდან, ხოლო ამ ტონს ბანს აძლევდენ და „ამტკიცებდენ“ ურთიერთულ მეგობრობას ოსმალთა ზარბაზნები ბათომში, ოზურგეთში, ახალ-ციხე-ახალქალაქში და თბილისის გვერდით—მდინარე ხრამსა და ალგეთზე. ამ მეგობრობას დაადასტურებენ ჯავახეთ-ახალ-ციხელი ლტოლვილი ქართველები, რომელნიც ეხლაც სიმშილითა და სიცივით იჟლიტებიან ბორჯომის ხეობაში. ჩვენ შეგვეძლო დაგვესახელებინა კიდევ ათასი მაგალითი „ოსმალურ მეგობრობისა“, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. მეგობრობაში ჩვენთვისაც და ოსმალეთისთვისაც მავნე და დამღუპველია ორპირობა, ორგულობა და დიპლომატიური კეკემალულობა, ამიტომ ამ საკითხს პირბადე უნდა ჩამოვხსნათ და რაც უნდა მახინჯი იყოს იგი, თვალს თვალი უნდა გავუსწოროთ და პირნათლად ვსთქვათ რაც სათქმელია, მით უფრო რომ სტამბოლის გაზეთებიც პირდაპირ ამბობენ თავიანთ სათქმელს.

ფუჭია ლაპარაკი და ყალბია მეგობრული ხვევნა იმ დრომდის, სანამ არ გადასწყდება ორივესთვის საბედისწერო საკითხი საზღვრების შესახებ. ქართველმა შეიძლება დაივიწყოს ყველაფერი, მაგრამ იგი ვერასოდეს და ვერას გზით ვერ დაივიწყებს და ვერ მოინელებს ოსმალთა მიერ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებას, მის განახევრებას და მისი სამხრეთ ზღუდე-კართა აყრას. ბათომი და ქობულეთი, აჭარა და არტაანი, ჯავახეთი და ახალციხე—ჩვენი სხეულიდან ამოჭრილი ასოებია, რომელნიც აუცილებლად უნდა დაგვიბრუნდეს. მხოლოდ ამ ოლქების დაბრუნებას შეუძლიან ჩაყაროს მუდმივი მეგობრობის საძირკველი და გააბას ჩვენ შორის რკინის ჯაჭვი კავშირისა. გარდა ამისა, ოსმალეთმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა აიღოს ხელი ჩვენ ზურგზე სომხეთ-აზერბეიჯანის აშენებაზე და საქართველოს მომწყვდევაზე მუსულმანთა რკინის რკალში. ბუნებრივი საზღვრების საკითხი დამყარებულია უცვლელსა და მუდმივ კანონებზე, რომელთა გადატეხა არ ძალუძს არავითარ სოციალისტურ სიზმარსა და პრინციპს. თუ საქართველოს თითის განძრევა მაინც შეუძლიან, იგი ვერ მოისვენებს იმ დრომდის, სანამ მტკიცედ არ დასდგავს

ფეხს თავის ძვლებითა და სისხლით აშენებულ კედლებზე: ბამბაკ-აბოცზე და ყაზახ-საინგილოს აღმოსავლეთ საზღვრებზე.

ეს არის ჩვენი მეგობრობის condicto sine quanon. ან რა მეგობრობა შეუძლიან იმ ადამიანს, რომელსაც ამოღებული მახვილით თავზე ადგანან და ემუქრებიან განადგურებას? ზაქ-აბაზი და ალა-მაჰმად-ხანიც ასეთს „მეგობრობას" ითხოვდნენ, მაგრამ ჩვენზე უკეთესად ოსმალეთმა და სპარსეთმა უწყიან შედეგი ნაძალადევ მეგობრობისა. ნუ დავმალავთ. ისტორია არც გუშინ დაიწყო და არც დღეს თავდება. უწინ დასავლეთისკენ ბილიკიც არ მიდიოდა, ხოლო ჩრდილოეთით ერთი გზა გვქონდა. ეხლა კი დასავლეთის კარებიც ღია არის და ჩრდილოეთისკენაც ზღვის გარდა ერთის ნაცვლად ოთხი გზა მიდის. იმედდაკარგული ხალხი ერეკლე მეფეზედ უფრო ადვილად გახსნის ამ კარებს და იქიდან შემოვარდნილმა ძლიერმა ნიაღვარმა შეიძლება ერთნაირად უფრო ადვილად წალეკოს წინა აზია, ვიდრე ამიერკავკასია.

ისტორია არც ისე იშვიათად იმეორებს თავის გაკვეთილებს როგორც სტამბოლში ჰგონიათ. მაგრამ მგონი სტამბოლში გუშინდელი გაკვეთილიც დაავიწყდათ.

სანამ დრო აქვთ მოიგონონ, თორემ თუ იმათ თავზე ერთხელ კიდევ დაიჭექა მეხმა და ჩვენც შევტრუსა, ჩვენ ნურარაფერს დაგვაბრალებენ. მაშინ გულდათუთქული და გულსუფთა საქართველო ეტყვის ყანგარიშო ოსმალეთს:

Fus la voulus Dandin.

მ. ადამაშვილი.

## პ რ ე ს ს ა

### „ერთობის" წმინდანები.

ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო შალვა ამირეჯიბის წერილი გამყიდველ ჟურნალისტ ლევან ყიფიანზე. ეს მომსპობი დახასიათება ასე თავდებოდა:

„საქართველო დამარცხდა ბრძოლის ველზე, მაგრამ მას მოღალატე არ ჰყოლია. იყო ერთი ლევან ყიფიანი, რომელიც არა ქართველის, ფულით და არა ქართულ ქაღალდზე ლანძღავდა საქართველოს და ამხედრებდა მის წინაალმდეგ ხალხს... საქართველოში იგი იძულებულია რუსულად სწერდეს და სომხურად იღებდეს. განა ეს სირცხვილი არ არის"...

ამ სტრიქონებმა საბაბი მისცეს „ერთობის" ანონიმებს ჭკუა-მახვილობისათვის. „ერთობა" სწერს:

„ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, თუ რად აუმხედრდა ბ. ლევან ყიფიანს გაზეთი „საქართველო", რომელსაც არა ერთხელ უღალატია ქართველი ხალხისათვის. ბ. ამირეჯიბს თვითონ გამოვყვევართ სინათლეზე: ყიფიანი დამნაშავეა თურმე იმაში, რომ რუსულად სწერს და სომხურად იღებს. ამ საზომით რომ მიუდგეთ, „საქართველო" ცაში მართალია, რადგან ქართულად სწერს და ქართულადვე იღებს!!.

არ ვიცით ვინ გამოჰყავს შალვა ამირეჯიბს სინათლეზე, მაგრამ „ერთობა", რომ სინათლეზე გამოვიდეს, მაშინ უფრო რბილათ დასწერდენ რუხი ანონიმები. ამდენ ხანს ჩვენ ვიცოდით, რომ სამშობლოს ღალატი „ერთობის" „მონოპოლია" იყო და ამით თავი მოჰქონდა კიდეც.

ეს მაშინ იყო, როცა მენშევიკების ნაცარქექიები რუსეთში რევოლუციას აქეთებდენ, მაგრამ როცა იქიდან დაითხოვეს, შემდეგ რევოლუცია „ბუნტად" გამოაცხადეს, რუსები ლოთებად და რუსის ქალები—როსკიპებად (ამაზე ლ. ყიფიანიც სწერდა). სინათლეზე გამოშვლებაც ამას ჰქვია!..

„ერთობა"-მ ეხლა დაიწყო პატრიოტობის გაკვეთილების მიღება, და როგორც სჩვევია პირველ პროზელიტს, ჰგონია რომ მისწვდა მიუწდომელს, ჩვენ გვახარებს ეს ბავშური გატაცება, იქნება მართლა გამოვიდეს რამე აქედან, მანამდის გინებასაც ავიტანთ... მაგრამ „ერთობის" ხალხი არც ისე ბავშვებია რომ ფულების შესახებაც არ ეშინოდეთ ლაპარაკის.

„ერთობის" მწერლები სწერენ ყველა ენაზე, ან აწერინებენ სხვებს, მაგრამ სუბსიდია მარტო ქართულ წყაროებიდან თუ მოეძებნებათ. და რა საშუალებით, ამაზე სხვა დროს...

## მთავრობის წრეებში

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოხსენებით დაადგინეს: საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთან ბაქოში დაარსდეს მისი თავმჯდომარეობით საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტი. ამ კომიტეტში შევლენ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის და გზათა მიმოსვლის სამინისტროების, სასურსათო უწყების და სახელმწიფო კონტროლიორის წარმომადგენელნი და აგრეთვე ერთი ბაქოში მცხოვრები ქართველი ამ კომიტეტის დანიშვნით. ამასთანავე უნდა გაეგზავნოს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბაქოში რწმუნების ქაღალდი, რომლითაც უფლება მიეცეს მას ყოველგვარი ხელშეკრულება დასდოს ადერბეიჯანის მთავრობასთან საქართველოსთვის საჭირო საქონლის ყიდვა, გაცვლა-გამოცვლის, ტრანზიტის და სხვა ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებზე.

# საქართველოს პარლამენტში

## წერილები პარლამენტიდან

V

სრულიათ მოულოდნელათ, სხდომის დასასრულს, როდესაც დამსწრე საზოგადოებასაც, დეპუტატების მნიშვნელოვან ნაწილსაც ჩვეულებრივი სენსაციების იმედი დაეკარგათ, და ამის გამო დარბაზი ნახევრად დაცარიელდა, იფეთქა ისეთმა კამათმა, რომელიც თავისი აწეული ტონით, შეიძლება პირველათ ყოფილიყო ჩვენს პარლამენტში.

საკითხი ეხებოდა ახალ ათ მილიონის ფონდს.

საერთოდ ჩვენი სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა იმდენათ გაურკვევი და სუსტია, რომ ყოველი მისდამი შეხება ძალიან მტკივნეული ხდება, ის საკითხს უაღრესათ ამწვავებს.

ამ სხდომაზედ დაპირისპირება იყო ორი ფრთის—მემარჯვენე, დამოუკიდებელთა და მემარცხენე მენშევიკების და, სიმართლე უნდა ითქვას, რომ არც ერთს არ დაუკლია ხელი ერთმანეთის განადგურებისათვის, მაგრამ არსებითად საკითხის შესახებ მაინც არავის არ ულაპარაკია და არც შესაძლებელი იყო, რომ ეთქვათ!

საქართველოს პარლამენტში დამყარდა ისეთი მდგომარეობა, რომ ფრაქციის ერთმანეთს შორის შეურიგებელ განადგურებაში, ისპობა თვით საგანი კამათისა და შემდეგში საკითხისაგან რჩება მხოლოთ სარეზოლუციოთ აწეული ხელები.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ გარემოებას ძალიან ხელს უწყობენ სოც.-დემოკრატიის ორატორნიც.

ირაკლი წერეთელი განთქმულია როგორც საპარლამენტო მოღვაწე, მაგრამ ვინც მის სიტყვებს გადახედავს საქართველოს პარლამენტში წარმოთქმულს, მან უნდა აღიაროს რომ მისი სიტყვების ცენტრი, მხოლოთ იმ გაშმაგებულ კბენაშია, რითაც იგი პარლამენტის ტრიბუნიდან არავის არ ზოგავს. მისი გამოსვლის ყოველი მოტივი მხოლოთ განადგურებაა მოწინააღმდეგის, მაგრამ ამის ნაცვლად ის ანადგურებს იმ საგანს, რომლის დაცვასაც სცდილობს. ამ შემთხვევაშიც მან მოიწადინა მთავრობის გამართლება, რომ იგი ჯარის შექმნაზედ ზრუნავს და მხოლოთ ერთი არგუმენტი მოიყვანა:

მთავრობა ყიდის 5 მილიონის ქონებას, რომ ეს თანხა ჯარს მოახმაროს.

ეს არგუმენტი მახვილად გამოიყენეს რომ ასეთს ყიდვა-გაცემაზედ აშენებული ფინანსიური სისტემა მოესპოთ, მაგრამ მაინც არავინ არ ჰკითხა ს.-დ. „რიგიან" ლიდერს, რომელიც ყველას „ურიგობას" აბრალებს. რიგიანობაა თუ ურიგობა ჯარზედ მხოლოთ 5 მილიონის გაღება, მაშინ როდესაც მთავრობა იოლის ხელით აძლევს ისიდორე რამიშვილს არა მკითხე მეამბეთ ბაქოში გასეირნებისათვის 450 ათას მანეთს.

გრიგოლ ვეშაპელის სიტყვაც გაცილებით მეტს მოიგებდა, რომ სრულიად უმოტივოთ არ სწვდომოდა თავის ამხანაგებს, რომელთაც მხოლოდ ორი დღეა რაც დაშორდა და იმ პარტიებისადმი გასროლილი ტალახი, რომელშიაც ის აქამდე იყო, ხომ შეიძლება მას მოეცხოს და თავისი ხელით რათ ისვრის თავს!..

ლ. ჯ—ძე.

—

### 8 ოქტომბრის სხდომა

თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

წარსულ სხდომაზე მიღებულ კანონპროექტი „ეროვნულ საბჭოს სახელწოდების შეცვლისა" და „1909 წლის მარტის 18 კანონით დანიშნულ პენსიათა და შემწეობათა გაუქმების შესახებ", სარედაქციო შესწორებათა დამტკიცების შემდეგ, რომელთაც პარლამენტის წევრი შალვა ამირეჯიბი არდგენს, საბჭო გადადის მორიგ კანონპროექტთა განსახილველად.

### კანონთა კოდიფიკაცია

იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი არის კანონპროექტი საქართველოს დემოკრატიულ სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსების შესახებ; ეს კანონპროექტი განხილულ და მიღებულ იქმნა იურიდიული კომისიის მიერ, მაგრამ სრულიად უარყოფილი საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მიერ, რომელმაც შემდეგ დასკვნა გაუკეთა ამ კანონპროექტს: „ვინაიდან პრინციპიალურად კანონპროექტი შეუწყნარებელია, კომისიამ შეუძლებლად სცნო რაიმე ხარჯის გაღება ამ კანონპროექტის მიერ განზრახულ საკოდიფიკაციო დაწესებულებისათვის.

პარლამენტის სხდომებმაც ამ საკითხის გარშემო ორი მიმდინარეობა მიიღო: კანონპროექტის დამცველად გამოვიდა მ. რუსია და იუსტიციის მინისტრის ამხანაგი გ. გველესიანი, ხოლო საფინანსო კომისიის პოზიციას იცავდენ პ. ქავთარაძე და ისონ ლორთქიფანიძე. მომხსენებლის აზრით, ეს დაწესებულება იქნება ისეთი, როგორიც იყო რუსეთში „კანონთა კრებულის განყოფილების" სახით სახელმწიფო კანცელარიასთან სტატს სეკრეტარიატის გამგებლობითა; ეს ახლად განზრახული დაწესებულება შეუდგება საკანონმდებლო მასალის და უმაღლეს მთავრობის ზოგადის ხასიათის განკარგულებათა შეკრეფას, შეთანხმებას და დრო გამოშვებით გამოაქვეყნებს.

#### რა არის კოდიფიკაცია?

საფინანსო კომისიის დადგენილებას იცავდენ პ. ქავთარაძე (ალიონელი) და ი. ლორთქიფანიძე (ნ.-დ.). მათის აზრით კოდიფიკაცია გარკვეული მცნება და შეიცავს საკანონმდებლო მოღვაწეობას, არსებულ კანონთა შეკრებას, მოწესრიგებას და მათი ზოგადი კანონის სახით ჩამოყალიბებას. ყველა სახელმწიფოებში კოდიფიკაციას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა და იგი თავისი გავლენით იმორჩილებს იურიდიული აზრის განვითარებას, მაგრამ, აგრეთვე, აღიარებულია, რომ ზოგიერთ შემთხვევებში, მან სრულებით საწინააღმდეგო შედეგებს მიაღწიეს. მაგალ. გარდამავალ ხანაში იგი ვერ გამოხატავს საზოგადოებრივ განვითარების იურიდიულ სახეს.

#### ჯერ ჯერობით კოდიფიკაცია საჭირო არ არის

ყველაფრის გარეშე საჭიროა მასალა, რომლის კოდიფიკაციაც უნდა მოხდეს; საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ რამდენიმე ათეული კანონია მიღებული და რა საჭიროება მოითხოვს მათ შესაკრეფად და შესათანხმებლად განსაკუთრებული ორგანოს შექმნას. და როგორ საჭიროც უნდა იყოს, შეუძლებელია, რომ იგი რომელიმე უწყებასთან მოეწყოს. თუ საჭირო იქნება პარლამენტი შექმნის მას მომავალში. ამ ჟამად კი შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ინკორპორაცია კანონებისა.

ხოლო იმ შემთხვევაში თუ კანონპროექტი მაინცა დმაინც მიღებულ იქნება, საფინანსო კომისიის მომხსენებელის პ. ქავთარაძისა და ი. ლორთქიფანიძის აზრით უნდა უსათუოდ გამოტოვებულ იქმნან სიტყვები: „შესათანხმებლად და წესრიგში მოსაყვანად", რადგან ამ სიტყვებს განსაზღრული მცნება აქვთ, რისი ასრულება კანონპროექტით განზრახულ დაწესებულებას არ შეუძლია.

#### კენჭის ყრა

კანონპროექტი მიღებულ იქმნა 40 ხმით 19-ის წინაალმდეგ. წინააღმდეგ ხმა მისცეს: ეროვნ. დემ., დამოუკ. ნაც. დემ., „ალიონმა", უპარტიომ, რადიკალ-დემ. და სოც.- რევ. მხარი დაუჭირეს ესდეკებმა, ფედერალისტებმა და სომეხ-თათრებმა.

ნ. ქავთარაძის და ი. ლორთქიფანიძის წინადადება, რომ 1-ლ მუხლიდან ამოშლილ იქმნან სიტყვები: „შესათანხმებლად და წესრიგში მოსაყვანად", შეწყნარებულ იქმნა მხოლოდ 1-ლი ნაწილი, ესე იგი: „შესათანხმებლად", ხოლო მეორე ნაწილი უარყოფილ იქმნა. უარყოფილ იქმნა აგრეთვე წინადადება, რომ თვით განყოფილებას დაერქვას არა საკოდიფიკაციო, არამედ საგანგებო. (კანონპროექტი ცალკე იბეჭდება). ი. ბარათაშვილის მოხსენებით, მცირე კამათის შემდეგ, შეუსწორებლად მიღებულ იქმნა კანონპროექტი კანონთა გამოქვეყნების შესახებ. (ეს კანონპროექტიც ცალკე იბეჭდება).

### ათი მილიონის ფონდის აღდგენა

ამ კანონპროექტის მომხსენებლად გამოდის დ. თოფურიძე (ს. დ.), რომელიც ითხოვს, ათი მილიონის ფონდიდან, რომელიც გადადებული იყო მთავრობის განკარგულებაში და რომელიც შევსებულ იქმნა 1918 წ. 30 ივლისის კანონით 9,821,338 მან. 21 კაპ. განაწილება კრედიტებათ უწყებათა შორის მთავრობის მიერ ივნისის 27-დან აგვისტოს 3-მდე დამტკიცებულ იქმნეს და აღდგენილ იქმნეს ხაზინის თავისუფალ თანხიდან ათი მილიონის ფონდი უკვე განაწილებული ზემოხსენებულის თანხის გაღებით.

მემარჯვენე ფრთის მოთხოვნილებით, მომხსენებელი კითხულობს ნუსხას, თუ როგორ დაიხარჯა ძველი ფონდი. ნუსხა რუსულად არის შედგენილი. მემარჯვენე სკამებზედ ხმაურობაა: „ქართულად, ქართულად". მომხსენებელი მაინც განაგრძობს კითხვას, რაიც ნახევარ საათს გრძელდება.

### რეგლამენტის დარღვევა

თავმჯდომარე აცხადებს, რომ რეგლამენტი დარღვეულია მით, რომ მომხსენებელმა ნუსხა რუსულად წაიკითხა, მაგრამ ეს მოხდა თანახმად საბჭოს მოთხოვნილ[illegible]ძლო ნება არ მიეცა.

### შალვა ამირეჯიბის განცხადება

რადგანაც ძირითადი კანონი სახელმწიფო ენის შესახებ დარღვეულია იმით, რომ საბიუჯეტო კომისიის მიერ კანონპროექტი არა სახელმწიფო, რუსულ ენაზეა წარმოდგენილი, ეროვნულ დემოკრატიული ფრაქცია მოითხოვს კანონპროექტი უკან დაუბრუნდეს კომისიას იმ აზრის დამატებით, რომ მთავრობამ შემდეგში აღარ გაიმეოროს ასეთი შეცდომა.

### ფინანსთა მინისტრის ამხანაგის განმარტება

ფინ. მინ. ამხანაგი კანდელაკი გამოდის განმარტებით, რომ ის ნუსხა, რომელიც აქ მომხსენებლის მიერ იქმნა წაკითხული, პარლამენტში წარმოსადგენად არ იყო განზრახული.

### გრიგ. ვეშაპელი (დ. ნ. დ.)

აღნიშნავს, რომ ფინანსთა მინისტრის ამხანაგის განმარტება სრულებით დამაკმაყოფილებელი არ არის. ესევე იყო სამი თვის წინეთ, მაშინ, როდესაც ეს ფონდი დავაარსეთ. მაშინაც ნუსხა წარმოდგენილ იქმნა რუსულად, მაგრამ მაშინ თავი იმართლეს მით, რომ იგი სეიმის მიერ იყო გადმოცემული. ეს მეორდება ეხლაც და გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენს უმაღლეს დაწესებულებებში ორი ენაა გამეფებული: ერთი სადეკორაციო ქართული, რომლითაც აქ გამოდიან ჩვენი მინისტრები კვირეში ორჯერ და მეორე რუსული, რომელიც გამეფებულია ყველა დაწესებულებებში და რომელზედაც სწარმოებს ამ მინისტრების მუშაობა. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა აქ ბრძანა, რომ ეს ნუსხა აქ წარმოსადგენათ არ იყო განზრახული; მაშ როგორ გეგონათ, რომ ჩვენ შეგვეძლო დაგვემტკიცებია თქვენ მიერ გაწეული ხარჯები ზეპირად და თქვენი ნდობით? ეხლა სახელმწიფოებრივი მუშაობა იწყება და სათავადაზნაურო ბანკების დრო წავიდა, როდესაც კრედიტებს ნდობით უხსნიდენ. ჩვენ ვითხოვთ—ამბობს ორატორი,— რომ მუშაობის და შენების ნაციონალიზაცია მოხდეს და ვისაც ეს არ შეუძლია, ან არ სურს, ის უნდა წავიდეს, თუნდაც სალიკვიდაციო დახმარების მიღებით.

### სოც.-დემ. განცხადება

სოც.-დემ. ფრაქციის სახელით ლაპარაკობს ს. ჯაფარიძე, რომელიც ითხოვს, რომ ეს კანონ-პროექტი აუცილებლად იყოს დღესვე განხილული, რადგან მთავრობას ფული არ აქვს და არ აქვს უფლებაც ფულის დახარჯვისა მაშინ, როდესაც ყოველ დღე უაღრესი საჭიროების მოთხოვნილებანია. ამ ჟამად ციხის მოსამსახურეთა გაფიცვაა და მთავრობას არ შეუძლია დაკმაყოფილოს ისინი, თუ ფონდი აღდგენილ არ იქნება და ამ საკითხის გადადება იმ ფორმალური მიზეზების გამო, რომელიც აქ წამოაყენეს, ჩვენ შეუძლებლმდ მიგვაჩნია.

## მონღოლების განდევნა ევროპიდან და წინა-აზიიდან

* * *

იმ დიადმა ხალხთა ბრძოლამ, რომლის მოწამენი ჩვენა ვართ, პერიპეტიას მიაღწია.

ეს ბრძოლა—ევროპის ბრძოლაა, მისი მიზეზები ევროპაში წარმოიშვა, იგი კულტურული ევროპის შინაგან ძალთა შეჯიბრების ნაყოფი არის; მაგრამ მისი შედეგი გადამწყვეტი იქნება აზიისათვის, და არა ევროპისათვის. თითონ ევროპაში შეუძლებელია ობიექტიურის აუცილებლობით არ აღსდგეს ის კულტურული ძალთა თანასწორობა, რომელიც აქ დღემდე მოქმედებდა.

სამუდმივო აქ არის მხოლოდ ორი საბედისწერო ხაზი, რომელიც დღეს ისტორიის წერას გაჰყავს მონღოლური ქვეყნების მიჯნაზე:

ერთი ის, რითაც დამთავრდა პირველი კრიზისი დღევანდელი ომების,—და რომელმაც გამიჯნა ევროპა, საბოლოოდ გამიჯნა იგი ველიკორუსული მონღოლეთისაგან;

და მეორე, რომლითაც არც ისე შორეულ დროში დამთავრდება ეს მეორე კრიზისი, და რომელიც გამიჯნავს მონღოლური აზიისაგან ევროპიული მოდგმის ხალხებით დასახლებულ წინა-აზიას. ეს იქნება ლიკვიდაცია იმ მონღოლური სოლისა, თეთრ-კანიანი ხალხების შუაგულში რომ არის შემოჭრილი; ლიკვიდაცია თურქული ხალიფატისა, რომელიც აშორებს ევროპისაგან წინა-აზიის ძველ კულტურულ არიულ და სემიტურ რასებს, არაბისტანიდან და საქართველოდან მოკიდებული ვიდრე ინდოსტანამდე.

და უნდა გვეთქვა, რომ თეთრ-კანიანი წინა-აზია არა მარტო ტერიტორიულად არის მოწყვეტილი თავის რასიულ და კულტურულ სანათესავოს, ევროპას; მას შემდეგ, რაც ხალიფატი თურქების ხელში გადავიდა და ისლამის მონღოლიზაცია მოხდა, წინა-აზიის ისლამიტი ხალხები სულიერადაც ჩამოსცილდა კულტურულ მსოფლიოს.— და ჩამორთმევა ხალიფატისა ოსმალეთისთვის, და ამ გზით ემანსიპაცია თურანისაგან იმ კეთილშობილი ისლამისა, რომლის ნიადაგზე აღმოცენდა დიადი კულტურა სპარსეთისა და არაბისტანის,—ეს უდიდესი ნადავლი დარჩება ცივილიზაციისათვის; ხოლო მოქცევა ამ ხალხებისა ევროპის უშუალო კულტურული გავლენის ზონაში— ეს იქნება გამოთიშვა ამ ხალხების მონღოლური გაჩერების მოჯადოებული რკალიდან და მათი დაბრუნება მსოფლიო კულტურის ოჯახში.

მართალია, რომ ის ბრძოლები, რომლებიც დღეს ოსმალეთის ხალიფატის ასპარეზზე ხდება, ვერ შეედრება სიდიადით დედა-ევროპის შუაგულში წარმოებულ ბრძოლებს; ალება აბასიდების და ომეჲადების სატახტო ქალაქებისა ბაღდადისა და დამასკოსი ნაკლების ჰეროიზმით იყო აღსავსე, ვიდრე აღება ორი უმნიშვნელო ბორცვისა დასავლეთზე; მაგრამ სწორედ ეს დიადი ბრძოლები ბელგიასა, შამპანსა და ელზას-ლორენის სანაპიროზე რომ სწარმოებს, სწყვეტენ არაბისტანის, სირიის და მესოპოტამიის ბედსა, და მასთან მთელი თეთრ-კანიანი აზიის საბედისწეროს...

მიმდინარე ომების ფინალი,—ეს იქნება განდევნა მონღოლებისა როგორც ევროპიდან, ისე ევროპიულ აზიიდან, წინა-აზიიდან.

* * *

შევაფასოთ უკვე ნათლად გამოსახული ტენდენციები ჯერ შინ, ჩვენს კულტურულ მეტროპოლიაში, ევროპაში.

ძალთა განწყობილება, რომელიც დამყარდა აქ, ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ ევროპაში არ არის ერი, რომელსაც შეეძლოს ხელში აღება ევროპის ჰეგემონიისა. კოსმოპოლიტური იმპერია რომის ან მაკედონურ-ელენისტური ყალიბისა შეიძლება დაარსდეს მხოლოდ იქ, სადაც ელინის გვერდით არის ბარბაროსი და ებრაელის გვერდით წარმართი. ხოლო ევროპის ხალხებს შორის არ არის ის დისტანცია კულტურულ და რასიულ ღირებულებათა, რაც ანტიურს ეპოქაში შესაძლოს ხდიდა კოსმოპოლიტურ სახელმწიფოთა შექმნას. ევროპა არის, და დარჩება, ოჯახი ეროვნული კოლექტივების, რომელთა თვისშემოფარგლული კულტურული ღირებულება არის როგორც მორალური გამართლება, ისე გარანტია მათი თვითმყოფ არსებობის.

ამაში ერთხელ კიდევ გვაჯერებს დღევანდელი ერთა ბრძოლა, ეს დიადი გამოცდა ევროპიელი ხალხების.

ჩვენ გადავიჩვიეთ ბედისწერის გრძნობას... დღეს საფუძვლიანად შევეთვისენ ჰიანჭელის ფილოსოფიას.... მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყოდით, რომ მიმდინარე დიადი ომი უწინარეს ყოვლისა არის ის მეტაფიზიკური Wille zur Macht, რომელიც თან ახლავს ყოველს დიადს კულტურას, ეროსი კულტურისა, მისი სტიქიური მისწრაფება განფენისაკენ.

და გერმანიული მესსიანიზმი, ეს ქედფიცხელი განზრახვა ახალი რომის შექმნისა კონტინენტის შუაგულზე, ჩრდილოეთის ზღვიდან—ხმელთაშუა ზღვამდე და ბალტიის ზღვის სანაპიროდან—შავი ზღვის სანაპირომდე, რაც გერმანიზმის ჰეგემონიას განამტკიცებდა მსოფლიოზე,—ეს განზრახვა მართალია სავსებით შეეფერება კარლომანისა და ჰოგენშტაუფენების ხალხს, რომელიც სამართლიანად სთვლის თავის თავს ძველი რომის მემკვიდრედ; მაგრამ დღევანდელი ინგლისი არ არის რომის ბრიტანეთი, და დღევანდელი საფრანგეთი არ არის ცეზარის დროინდელი გალლია, ხოლო თითონ გერმანია მაინცა-და-მაინც ევროპა არის, მიუხედავად იმ გადაჭარბებული ნადავლისა, რომელიც მოიხვეჭა ამ გმირმა ხალხმა შემოქმედების სფეროში ბეეთჰოვენიდან —ვაგნერამდე, კანტიდან—ნიცშემდე და ფრიდრიხ დიდიდან—ბისმარკამდე.

თვალის მომჭრელია თავისი სიმძაფრით ის თამამი გულისთქმა რომელიც წინასწარმეტყველურის ბუნდოვანებით გადმოსჩქეფს ფიხტეს სიტყვებში „გერმანელთა ნაციისადმი", თამამი ზრახვა გერმანული მესსიანიზმისა რომლის ისტორიულ აუცილებლობაზე უფრო დალაგებით გვესაუბრებოდა ახლო დროებში ტრაიჩკე ან გიზებრეხტი, და რომელსაც ძველი იდეალისტი შილერი ასე გადმოგვცემს: „ყოველს ნაციას ჰქონდა თავისი დღე, ხოლო დღე გერმანიისა ეს იქნება მრთელი კაცობრიობის ხვავის მოგროვებაო." ეს მესსიანისტური პათოსი, რომელიც ასე ახასიათებს გერმანულ შემოქმედებას, რასაკვირველია მაჩვენებელია გერმანული კულტურის ახოვანებისა და იმ სულის მდუღარებისა რომელიც სჩქეფს ამ ხალხში. მაგრამ მაინც, თუ სწორად შევაფასებდით ევროპის კულტურულ მილიეს, უნდა გვეთქვა, რომ გერმანიასა და ევროპას შორის არ არის მიჯნა, და, თუ არის ევროპაში სეფე რასსა იგი არ არის აქ მხოლოობითს რიცხვში, და რომ ისტორიული განვითარების მრთელმა ციკლმა ევროპაში დაამყარა კულტურული და რასსიული პარიტეტი. ამიტომაც უნდა დაგვესკვნა, რომ თანამედროვე გერმანიას ისევე ნაკლები შანსები აქვს ჰეგემონიის მოპოებისა ევროპაში, როგორათაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის საფრანგეთსა, ან მეთექვსმეტე საუკუნის ესპანიას.

დღევანდელს უსწორო ბრძოლაში ჰეროიზმი გერმანელი ხალხისა და მისი მედგარი გამძლეობა განცვიფრების ღირსია. მაგრამ გერმანელი ხალხის გაუტეხელი ქედფიცხელობა ვერ გადალახავს ისტორიულ აუცილებლობას..

დღეს უკვე ცხადია, რომ გერმანიის ხალხმა ვერ შესძლო მოპირისპირე ძალების დაურევება. ჩვენ არ გვინდა ამით ვთქვათ, რომ თითქო ეს მოასწავებდეს რომელიმე მხარის დამარცხებას. დაკვირვებული და მიუდგომელი შეფასებიდან უნდა დავასკვნათ, რომ დღეიდან ხდება ნეიტრალიზაცია მოპირისპირე ძალებისა.

მაინცა და მაინც მოჭარბებული ბიოლოგიური ენერგია ევროპის ხალხებისა დღეს უკვე იშრიტება და მსოფლიო კრიზისი დასასრულს უახლოვდება.

და ერთი რამ უცილობელი არის, სახელდობ ის, რომ დღევანდელი კრიზისი ევროპაში დასრულდება ევროპიული რასსების და ერების უფრო გაკრისტალლებით და კულტურული თვისშემოფარგლვით.

* * *

მიმდინარე ომების მიზეზები ევროპაში წარმოიშვა, იგი კულტურული ევროპის შინაგან ძალთა შეჯიბრების ნაყოფი იყო; მაგრამ ევროპას ამ ომში ჰყავდა ორი უკანონო თანამხავრი.

წერილი-მოწოდება გერმანიის მეცნიერთა და ხელოვანთა—მიმართული კულტურული მსოფლიოსადმი—ბრალსა სდებდა საფრანგეთისა და ინგლისის ხალხს, რომ მათ კავშირიც-კი შეჰკრეს მონღოლური მოდგმის ბარბაროსებთან, რათა დაანგრიონ შიდა-ევროპის ცივილიზაციის კერა. და მართლაც გამოსარჩლება მონღოლოიდი რუსების უაღრესად რეგრესიული იდეალებისა დასავლეთ-ევროპიელების მიერ—ეს მათი პირველყოფილი ცოდვა იყო.

მაგრამ ასეთივე პირველყოფილი ცოდვის მოზიარეა გერმანელობა თავისი კავშირით მონღოლურ ხალიფატთან. თუ რუსების გამეფება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში საფრთხეში ჩააგდებდა შიდა-ევროპის კულტურულ მომავალს, თურქული ხალიფატის ხელახალი აღორძინება ეს იქნებოდა დაკარგვა კულტურისათვის წინა-აზიის ძველი რასებისა, და იმ იარაღით, რომელიც ხელთა აქვს ოსმალეთს,—გამონღოლებული ისლამით,—ეს ხალხი საბოლოოდ მოექცეოდა კულტურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამირეჯიბი (ადგილიდან) მიზეზები ფორმალური არ არის.

**დ. ვაჩნაძე (დამ. ნაც.-დემ.)**

მე უნდა მივაქციო პარლამენტის წევრთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ იმ ხარჯებში, რომელიც აქ იყო წამოყენებული სჩანს, რომ არც ერთი თვალსაჩინო ხარჯი არ გაწეულა ჯარზედ.

ჩვენ ვიცით, რომ 450 ათასი მანეთი დახარჯულა სამხედრო ტყვეებზედ—ეს მართალია სამხედრო უწყებას შეეხება, მაგრამ ჯარის ორგანიზაციასთან არაფერი აქვს საერთო. 2 მილიონი ანარქიის ჩაქრობას მონდომებია, 200 ათასი დუშეთის მაზრას, 350 ათასი ერთხელ და 50 ათასი მეორეთ წითელი გვარდიის მობილიზაციას, მაგრამ ჯარს არაფერი. მე ეჭვი მეპარება, რომ ახალი 10 მილიონიანი ფონდიდანაც მათ რაიმე შეხვდეთ.

ყოველ სახელმწიფოში სამხედრო ბიუჯეტი, ყველაზედ მნიშვნელოვანია, ხოლო ჩვენში იგი სრულებით არ არსებობს. საქართველოს პარლამენტმა პირნათლად უნდა სთქვას და მთავრობამაც განაცხადოს, რომ იგი ჯარს ყურადღებას არ აქცევს.

ჩემის აზრით საჭირო იქნებოდა ათი მილიონიანი ფონდიდან ნახევარი ჯარისთვის გადაიდოს და ამით ითქვას, რომ პარლამენტი და მთავრობა უაღრესად მონდომებულია ძლიერი ჯარის შექმნაში, და ჩემთვისაც, როგორც დამ. ნაც.-დემ ფრაქციის წევრისათვის, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი გაბედულათ მივცე ხმა მთავრობის წინადადებას.

## ფინანსთა მინისტრის ამხანაგის პასუხი

ბ-ნ ვაჩნაძის სიტყვა მე ესე გავიგე: მთავრობა ყურადღებას არ აქცევს ჯარს, და არ აძლევს მას საჭირო თანხას. ეს მართალი არ არის. ჯარს აქვს „ასსიგნოვკები“, რომელთა განაღდება ძნელდება მხოლოთ მისთვის, რომ ფულის ნიშნები არ არის.

10 მილიონიან ფონდი—ეს არის კრედიტი სხვადასხვა უწყებათათვის. ჯარი მას არ საჭიროებს რადგან აქვს იგი.

## გრ. ვეშაპელის სიტყვა

**ლეგალური და არა ლეგალური კატეგორია**

აქ მოგახსენეთ, რომ 10 მილიონის ფონდი არის არა ლეგალური კატეგორია და ჯარი მას არ საჭიროებს, რადგან მას აქვს დამტკიცებული ლეგალური კრედიტები; ორში ერთია: ან ჯარს არა აქვს იგი, ან აქვს და არ არის ფული, რომელიც განაღდებს ამ კრედიტებს. 10 მილიონიანი ფონდი კი სავსებით სწურავს ჩვენი ფულის საბეჭდავ მანქანას.

**მთავრობა და ჯარის საკითხი**

შეიძლება დღეს მთავრობაში ისეთი განწყობილება არ იყოს, როგორიც ეს ბალკანეთის კრიზისის დროს იყო, როდესაც იგი ძალიან გულმოდგინეთ ლაპარაკობდა ჯარის შექმნის შესახებ, მაგრამ არც ისეთი განწყობილება უნდა იყოს, რომ სრულებით ხელის აღებაზედ ფიქრობდენ!

თქვენ გემახსოვნებათ, თუ რა ითქვა ფრაქციათა წარმომადგენლების თათბირზედ. მე ვიტყვი იმას, რისი თქმაც შესაძლებელია. ჩვენ პირდაპირ გვითხრეს რომ ჯარი არ არის, რადგან არ არი ფული და ამის გამო არ არის არც ტანისამოსი და არც სურსათი.

ფულის ერთად ერთი წყარო ჩვენთვის არის საბეჭდი მანქანა.

არც გადასახადები, არც სხვა რაიმე შემოსავალი, მხოლოდ დაზგა!

სად მიდის ფული? ჯერ ხომ ომი არ გათავებულა და ჩვენი ნეიტრალიტეტი არ უცვნიათ, როგორც ეს ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს სურს ან, ესეთივე ბედი ხვდება ყველა კრედიტებს?

**ახალი კანონპროექტი და ძველი კრედიტები**

ჩვენ გვინდა, რომ არა მარტო ორჯელ სეზონში გამოხვიდეთ და თქვათ, რომ ჯარის შექმნა გსურთ, ისიც მაშინ, როდესაც საეჭვო დეპეშებს მიიღებთ ბოლშევიკურ ფრონტებიდან, არამედ აქ ითქვას, რომ თქვენ გწადიათ ძლიერი ჯარის შექმნა.

ჩვენ მივიღეთ ჯარის რეორგანიზაციის პროექტი.

ჩვენ მივიღეთ ისეთი კანონპროექტი, რომელიც უცხოელ ინსტრუქტორის მიერ იყო შემუშავებული და მე გეკითხებით თქვენ, თუ როგორ ეგუება ძველი კრედიტები ამ ახალ კანონპროექტს?

როდესაც აქ დახურულ კარებში წაკითხულ იქმნა კანონპროექტი, რომელიც უნდა აღვნიშნო, რომ სამი დღის შემდეგ უკვე გამოქვეყნებულ იქმნა მთავრობის ოფიციოზში, ჩვენ ვიკითხეთ, თუ როგორ არის საკითხი ამ საქმისათვის კრედიტების გადადების შესახებ და ჩვენ გვიპასუხეს, რომ კრედიტები ცალკე იქნებიან წარმოდგენილნი დასამტკიცებლათ.

და ჩვენ, არც ამ მხრით ვართ დარწმუნებული, რომ ჯარს კრედიტები აქვს! ფრაქციათა კრებაზედ ჩვენ ისიც კი გვითხრეს, რომ ფინანსიური კრიზისის მოსასპობად პარლამენტში შემოტანილი იქნება კანონპროექტი გადასახადების შესახებ, მაგრამ იგი ჯერ არსად სჩანს.

**10 მილიონის ფონდი და ჯარის საჭიროება.**

როდესაც, ამ სამი თვის წინეთ, მთავრობა 10 მილიონის კრედიტს უხსნიდით, ჩვენ ამ ტრიბუნიდან გვითხრეს რომ ეს თანხა საკმარისი იქნებოდა დეკემბრამდის რა დროისათვის მთავრობას უკვე დამზადებული ბიუჯეტი უნდა წარმოედგინა. დღეს მხოლოდ სექტემბრის დასასრულია ამ ფონდიდან უკვე ერთი კაპეიკი აღარ არის და ფონდი ახლად რომ არ აღვადგინოთ, შეიძლება მთავრობა ისეთს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდეს, რომ მცირე საჭიროებათა დაკმაყოფილებაც ვერ შესძლოს.

მაგრამ ვერც ამ ახალ გაღებულ ფონდშიც ჩვენ ვერ ვხედავთ განზრახვას ჯარისათვის რაიმეს გადადების შესახებ. ერთად ერთი ჩვენი ფინანსიური წყარო ფულის დაზგა გახლავთ და ჩვენ კატეგორიულად გთხოვთ გაგვაცნოთ ამ საქმის მდგომარეობა, რადგან დარწმუნებული არა ვართ, რომ ეს მანქანა მარტო ჩვენთვის მუშაობს!

ბატონებო! თუ ფულის ნიშნები იმდენად საკმარისი იყო, რომ ისიდორე რამიშვილის დელეგაციას, რომელიც არც კი წასულა ბაქოში 450 ათასი მანეთი მიეცა, ნუ თუ ეს ნიშნები მხოლოდ ჯარისათვის არ აღმოჩნდა საკმარისი?

ჩვენ ვითხოვთ, რომ ამ ტრიბუნიდან იყოს წარმოთქმული ისეთი განცხადება, რომ ქვეყანამ გაიგოს, რომ ჩვენს მთავრობას მართლა სწადია ჯარის შექმნა და ზომებს მარტო მაშინ არ იღებს, როდესაც შემაშფოთებელი დეპეშები მოდის სხვა და სხვა მხრიდან.

## სამხედრო მინისტრის პასუხი

მთავრობის სახელით საპასუხო სიტყვით გამოდის სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე:

**დაბრკოლებანი ჯარის შედგენაში.**

კანონი ჯარის ორგანიზაციის შესახებ მიღებულია და ეს საკითხი სავსებით გარდაწყვეტილათ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამ საქმეში ჩვენ მრავალი დაბრკოლებანი გვეღობება წინ.

ერთ ასეთ დაბრკოლებათ უნდა ჩაითვალოს ფინანსიური კრიზისი, თუ აიღებთ სხვა საკითხებს, მაგალითად სასურსათოს, ან და დისციპლინის საკითხს, რომლის შექმნა, იმ საოცარი დარღვევის შემდეგ, რომელიც რუსეთის ჯარმა გვიანდერძა და რომლის აღდგენა ასე სასწრაფოდ არ შეიძლება, თქვენ დაინახავთ, რომ ჯარის შედგენის საქმეში მრავალი დაბრკოლებანი გვეღობება წინ.

**ფულის საკითხი,**

ფულის მიზეზი, უსათუოდ, მეტად მნიშვნელოვანი მიზეზია, მაგრამ ეს ხდება მიტომ კი არა, რომ მთავრობას არ ჰსურს, არამედ მიტომ, რომ ფული არ არის. აქ ლაპარაკი იყო „ასსიგნოვკების“ შესახებ. ის თანხა, რაც ძველათ იყო გადადებული, ჩვენთვის სავსებით საკმარისია.

ტეხნიკურად ეს საკითხი ასე ხდება. ჩვენი „ასსიგნოვკა“ წარსდგება ხაზინაში, მაგრამ იქ მას ვერ ვანაღდებთ მისთვის, რომ ფულის ნიშნები არ არის.

ამ ჟამად თანახმად ჩემი მოხსენებისა, მთავრობამ მიიღო ზომები, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი პირველ რიგში იქმნან დაკმაყოფილებულნი.

ახალი კრედიტის გახსნა ამ ათი მილიონის ფონდიდან საჭირო არ არის, რადგან ჩვენ საკმაო კრედიტი გვაქვს, მხოლოდ დაბრკოლება, როგორც მოგახსენეთ, ფულის ნაკლებობაა.

**მთავრობა ზომებს იღებს ჯარის შესადგენად.**

მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ჯარის საკითხს და სიმართლეს არ შეეფერება აქ წარმოთქმული განცხადება, თითქო მთავრობა ზომებს მაშინ იღებს, როდესაც რაღაც დეპეშები მოსდის.

როგორც სამხედრო მინისტრი, მე ვაცხადებ, რომ მთავრობა ყველა ზომებს მიიღებს და ყველაფერს საჭიროს გაიღებს, რათა ჯარის ორგანიზაცია მოეწყოს, მაგრამ იგი ითხოვს დროს და განსაკუთრებულ მდგომარეობას.

**მუხლობრივი განხილვა**

შემოდის წინადადება, რომ კამათი მოისპოს. კრება გადადის კანონპროექტის მუხლობრივ განხილვაზედ.

**მუხლი 1:** ათი მილიონის ფონდიდან, რომელიც გადადებული იყო მთავრობის განკარგულებაში და რომელიც შევსებულ იქმნა ამა 1918 წლის 30 ივლისის კანონით 9,821,538 მან. 21 კაპ. განაწილება კრედიტებათ უწყებათა შორის მთავრობის მიერ ივნისის 27-დან აგვისტოს 3-დე დამტკიცებულ იქმნეს.

ამ მუხლის წინააღმდეგი. არავინ არის. ეს მუხლი მიღებულია.

**მუხლი 2:** აღდგენილ იქნეს ხაზინის თავისუფალ თანხიდან ათი მილიონის ფონდი უკვე განაწილებული ზემოხსენებულის თანხის (9,821,538 მან. 91 კ.) გაღებით.

**დ. ვაჩნაძეს** შემოაქვს წინადადება, რომ ამ მუხლში აღნიშნულ იყოს, რომ ამ ფონდის ნახევარი ჯარის საჭიროებისათვის იქმნეს გადადებული.

## ფინანსთა მინისტრის ამხანაგი

ბატონ ვაჩნაძეს უთუოდ კარგად ესმის, თუ რას ნიშნავს კრედიტი და რას ნიშნავს ნაღდი ფული. ჯარს კრედიტი აქვს, მაგრამ არ არის ნაღდი ფული, რომ ეს კრედიტები გაანაღდოს. თუ თქვენ ახალ კრედიტს გაუხსნით, ამით იმავე „ასსიგნოვკებს“ მისცემთ მათ, რომელიც მათ მრავლად აქვთ.

## რევაზ გაბაშვილი

(დამ. ნაც. დემ.)

გამოსთქვამს გაკვირვებას, რომ თუ შესაძლებელია იშოვონ ფულის ნიშნები იმ ათი მილიონისათვის, რომელიც მთავრობის განკარგულებაში უნდა გადიდოს, რატომ არ იშოვება იგივე ნიშნები ჯარისთვის. აქ სამხედრო მინისტრმა გულწრფელი სურვილი გამოსთქვა ჯარის შედგენის შესახებ, მაგრამ, ბატონებო, ჯარის შედგენისათვის მარტო გულწრფელობა არ კმარა. აქ, სადაც უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც სხედან, ყველაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვსთქვა: ამბობენ თვით მინისტრს უთქვამს: რა ჩემი საქმეა სამხედრო მინისტრობაო; ბატონებო, ესეთი მინისტრი ძლიერ ჯარს ვერასოდეს ვერ შექმნის.

## თავმჯდომარის განცხადება

პარლამენტის წევრმა გაბაშვილმა აქ სთქვა, რომ პარლამენტის შემადგენლობაში არიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებიო.

მე უნდა განვაცხადო, რომ აქ არავინ არ არის უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელი.

## ირ. წერეთლის სიტყვა

**მთავრობა იღებს ზომებს, რომ ჯარი ფულით დაკმაყოფილებულ იქმნეს**

მე უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვფიქრობდი დღეს, თუ აქ ლაპარაკი მოზიხდებოდა და უნდა განვაცხადო ისიც, რომ არა მსურს ნაც.-დემოკრატებთან კამათი, მაგრამ საჭიროთ მიმაჩნია რამოდენიმე განმარტება მოგცეთ სოც.-დემ. ფრაქციის სახელით.

ის მთავრობა, რომელსაც ჩვენ მივანდეთ სახელმწიფო საქმეების მოწესრიგება და რომლისთვისაც არ მიგვიცია განხილული და დამტკიცებული ბიუჯეტი, უნდა ეკითხათ: ვაძლევთ თუ არა მას საგანგებო თანხას? მის საჭიროებათა დაპირისპირება სხვა საჭიროებებთან და განცხადება, რომ მთავრობას მიეცით ის, რაც ჯარს მორჩება, მე ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია. ბატონებო! ჯარისთვის 5 კი არა 15 მილიონის კრედიტიც გახსნილია. მთავრობა იღებს ყოველივე ზომებს, რომ მისი საჭიროებანი დაკმაყოფილებულ იქმნას.

მომარაგების კომიტეტები ყიდის ამ ჟამად 5 მილიონის ქონებას და ეს თანხა სავსებით ჯარს უნდა მოხმარდეს. ის, რასაც აქ ნაც.-დემ. ამბობენ, ნიშნავს რომ ყველაფერი მას და სხვას არაფერი.

ეს 10 მილიონი არის საჭიროება ხოლო სახელმწიფოსი და თქვენ იცით, თუ რა მრავალმხრივია ეს საჭიროება. მთავრობამ უკვე წარმოადგინა ფაქტები, რომ იგი ზრუნავს ჯარის შესახებ და თქვენ ეს ფაქტები არ დაგირღვევიათ.

**თქვენ რომ 10 მილიონიც მოგცეთ ჯარს ვერ მოაწყობთ!**

როდესაც ესე სასტიკათ ილაშქრებთ, წინდაწინ საბუთები უნდა გქონდეთ, თორემ ისე თქვენ გამოლაშქრებას რა აზრი აქვს? ჩვენს სახელმწიფოს რომ ის ელემენტები გამოაცალოთ, რომელთაც თქვენ ებრძვით, ვინღა დარჩება? ვის წარმოადგენთ თქვენ?

და თქვენგან შემდგარ მთავრობას, რომ 10 მილიონიც მისცეთ, თქვენ ჯარს ვერ შეადგენთ და თქვენს მოწოდებაზედ არავინ არ გამოვა.

**ვეშაპელის კადნიერება**

ჯერ ამ პარლამენტში არ წარმოთქმულა ისეთი სიტყვები, რომლის წარმოთქმის კადნიერება ბ-ნ ვეშაპელს ქონდა და მე მაკვირვებს რომ ამას ლაპარაკობს ბ-ნ ვეშაპელი, რომელსაც მე არ ვიცი რა უფლებით უკავია აქ სკამი მას შემდეგ, რაც ის თავის პარტიას გამოეყო?

ვის ეყრდნობით თქვენ ეხლა?

**ვეშაპელი:** გაიგეთ თავის დროზედ!

**აქ არ არიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები**

გაბაშვილმა ბრძანა, რომ აქ არიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. მე უნდა განვაცხადო, რომ აქ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელი არავინ არის; აქ არიან ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი, რომელნიც შესისხლხორცებულნი არიან ქართველ დემოკრატიასთან და თუ ამ პარლამენტში არი ვინმე უცხო, ეს ის პირები ბრძანდებიან, რომელთაც მარჯვენა სკამები უკავიათ. (ტაში მენშევიკების და სომხების სკამებზედ).

მე მაგონდება გერმანელ მეცნიერის ფიხტეს სიტყვები, რომელიც ძალიან შეესაბამება ჩვენს მდგომარეობას.

მან სთქვა: „ჩვენი ქვეყნის საქმეები ცუდათ მიდის სხვათა შორის მისთვის, რომ თავხედები რიგიანებს თავხედურათ ეპყრობიან, ხოლო რიგიანები თავხედებს რიგიანათო“. (ტაში მენშევიკ-სომხების სკამებიდან).

ირაკლი წერეთელს გრძელ სიტყვაში უპასუხებს **გრიგოლ ვეშაპელი**, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ვერ ააშენებს ის კაცი, რომელიც რუსეთში ნახევრად ლენინი იყო, მაგრამ ლენინობა ვერ გაბედა და დაშინებული გამოიქცა, საქართველოში კი დავით აღმაშენებლობა ვერ შესძლო და თუ მდგომარეობა გამოიცვალა, აქედანაც გაიქცევა. შემდეგ იგი პირდება სოც.-დემ. შეურიგებელ ოპოზიციის წარმოებას და სიტყვის დასასრულ ღვარძლიანათ იხსენიებს ეროვნულ-დემოკრატებს, რომელსაც იგი გამოეყო.

კამათის შეწყვეტის გამო ეროვნულ-დემ. ფრაქციის წარმომადგენლებმა პასუხის გაცემა ვერ შესძლეს.

კანონპროექტი მიღებულ იქმნა და სხდომა ნაშუადღევის 5 ნახ. საათზედ დაიხურა.

---

და რასიული გადაგვარების მოჯადოებულ წრეში.

მაგრამ ისტორიის წერამ სხვანაირად განსაჯა: იგი საბოლოოდ დამარცხებას უქადის მონგოლური იდეის ორსავე სახეს: როგორც პანისლამიზმსა ისე პანსლავიზმს.

რუსეთი დაუბრუნდა იმ პირვანდელ მდგომარეობას, რომელზედაც წინასწარ მეტყველებდა რუსული მისტიკა...

და სამიჯნო ხაზი, თითქო ბედისწერის ხელით გაყვანილი, გასდევს სწორედ იქ, სადაც თავდება ევროპიული კულტურის სანათესავო: ფინეთიდან, პოლონეთის მიჯნაზე გავლით, საქართველომდე.

და თუ ჯერ კიდევ ძლიერი რუსეთის დამაიების მუქარით დასავლეთ-ევროპიელები მზად იყვნენ გაეყიდნათ ევროპის ცივილიზაციის ინტერესები, და გაეხსნათ მონგოლური ტალღისთვის გზა ევროპის აღმოსავლეთისა და სამხრეთისკენ, დღეიდან, ევროპიული კრიზისის დამთავრებისას, რუსეთის კოლოსის ხელოვნური აღდგენა და ევროპის ხელახლა საფრთხის წინაშე დაყენება—არავის მიზნებში არ შეიძლება შედიოდეს.

რაც შეეხება ოსმალეთს, ამ „ავადმყოფმა ადამიანმა“ თითქო სასიცოცხლო ენერგია შეიძინა ამ ბოლო დროს. მაგრამ ეს მოჩვენებითია მხოლოდ. ისეთი დიადი მიზნების განხორციელება როგორსაც ისახავს ოსმალეთი, ძალუძს გენიოს რასსას, და არა ამ უბადრუკ ბარბაროსებს, რომელთაც მთელი საუკუნეების მანძილზე ეპყრათ საუკეთესო ნაწილი დედამიწისა, და მხოლოდ წარყვნეს იგი...

და რომ ოსმალეთის გაბედული ფიქრი „თურანის“ შექმნაზე უიმედო ოცნება არის, ამისი მოწამე ადრე გავხდებით. ოსმალთა ეფემერული გამარჯვებანი ეს ხომ ბედის დაცინვაა მათზე... იგი არ იყო ნაყოფი ოსმალეთის სასიცოცხლო ძალთა სიჭარბისა;—და მას შემდეგ რაც ბალკანეთის კატასტროფა მოხდა, და ბულგარეთის კაპიტულაციით გადაიჭრა ის ძარღვი საიდანაც იკრებდა სასიცოცხლო ენერგიას ეს ავადმყოფი ადამიანი,—ანატოლიის საზღვრებიდან გადმოსული ტალღები ადრევე ჩადგება თავის გუბეში...

ბაღდად-დამასკოს ხაზი არც ისე შორეულ დროში უნდა მოადგეს სომხეთის პლატოს და კილიკის მთებს..

და აქაც, როგორც ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე თითქოს ბედისწერას გაჰყავს ეს სამიჯნო ხაზი. ეს იგივე საზღვარია ევროპიული რასსებისა აზიაში: საქართველოდან—ვიდრე ინდოსტანამდე, არაბთა და სპარსთა ქვეყნების მიჯნებზე გავლით...

ჩვენ გავარკვიეთ ზემოდ, რომ მოქმედი ისტორიული ტენდენციები ობიექტიურის უცილობლობით მიიყვანს ევროპას კულტურული წონა-სწორობის აღდგენამდე;

მაგრამ ევროპის გარეთ,—აზიაში—აღდგენა ამ ორი ბარბაროსი სახელმწიფოებისა, რომელნიც დაანარცხა ისტორიის გამოცდამ, არავისი მიზანი არ იქნება;

პირიქით აქ იპოვის გამოსავალს ის მოჭარბებული კულტურული და მატერიული ენერგია, რომელმაც წარმოშვა ეს მსოფლიო კატაკლიზმი.

**პავლე ინგოროყვა.**

6 ოქტომბერს.

---

# კანონები

## მიღებული საქ. პარლამენტის მიერ 8 ოქტ. სხდომაზე

**I. კანონი კანონთა გამოქვეყნებისა**

1. კანონპროექტი მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ ეგზავნება მთავრობას, რომელიც დაუყოვნებლივ აქვეყნებს მას: „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში“.

**შენიშვნა.** პირველ მუხლში აღნიშნული კრებულის გამოცემამდე კანონი გამოქვეყნდება მთავრობის ოფიციალურ ორგანო „საქართველოს რესპუბლიკაში“.

2. ყოველი კანონი ძალაში შედის შვიდი დღის შემდეგ მისი გამოქვეყნების დღიდგან პირველ მუხლში აღნიშნულ ოფიციალურ გამოცემაში.

**შენიშვნა.** ეს მუხლი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც თვით კანონშია დადებული რაიმე სხვა ვადა მისი ძალაში შესვლისა, ან როდესაც საჭიროა კანონის გამოქვეყნებამდე მისი სწრაფად ტელეგრაფის ან შიკრიკის საშუალებით, სისრულეში მოყვანა, რაიც აგრეთვე თვით კანონშივე უნდა იყოს აღნიშნული.

3. დროებით, სანამ განსაკუთრებული დაწესებულება დაარსდებოდეს, კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის ოფიციალურ გამოცემას ხელმძღვანელობს იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებული საკოდიფიკაციო განყოფილება.

4. საკოდიფიკაციო განყოფილება „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულს“ უგზავნის დაუყოვნებლივ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

**II. კანონი იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსებისა**

§ 1. იუსტიციის სამინისტროსთან არსდება საკოდიფიკაციო განყოფილება საკანონმდებლო მასალის და უმაღლეს მთავრობის ზოგადის ხასიათის განკარგულებათა შესაკრებად, წესრიგში მოსაყვანად და დრო-გამოშვებით გამოსაქვეყნებლად.

§ 1. საკოდიფიკაციო განყოფილების ხელმძღვანელობა ევალება იუსტიციის მინისტრს.

---

# გაფიცვა ამიერ-კავკასიის ბანკში

მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ნ. ჟორდანიამ ამიერ-კავკასიის ბანკის მოსამსახურეთა გაფიცვის მიზეზების და პირობების გაცნობის შემდეგ სთხოვა შრომის მინისტრს წინადადება მისცეს საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირს, რათა მან საშუალება მისცეს მთავრობას კონფლიქტი მშვიდობიან გზით მოსპოს.

---

# ქრონიკა

## თბილისი.

**გერმანულ-კავკასიური ბანკი.** საქართველოს მთავრობამ გერმანულ-კავკასიურ ბანკის წესდება დაამტკიცა.

**საქართველოს სენატი.** იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ კომისიამ საქართველოს უზენაეს სამართალისთვის დაადგინა საქართველოს სენატის სახელწოდება.

**შულენბურგის დაბრუნება.** გერმანეთის ელჩი საქართველოში გრაფი შულენბურგი ღვინობისთვის 5 თბილისში დაბრუნდა.

**გაზეთ „ალიონი“-ს გამოსვლა** ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო დროებით შესწყდა.

---

**გზათა მინისტრი ი. ლორთქიფანიძე** თფილისში დაბრუნდა.

---

# პარტიული ცხოვრება

**პარტიული კონფერენცია.** ჩვენი პარტიის მთავარმა კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა დაიჩქაროს პარტიულ მესამე კონფერენციის მოწვევა. ამ დადგენილების ჩქარა აღსასრულებლად აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელიც თავის მუშაობას უკვე შეუდგა.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს.)

**საღამოს ცნობა**

**მოსკოვი,** ოქტომბრის 7. ცენტრ. აღმ. კომიტეტის ბეჭდვითი ბიუროს ცნობები. ბულგარეთის ფრონტისირგვლივ მთელი მიდამონი ცეცხლის ალით არის მოცული. ვენა. 5 ოქტომბერი. დროებით ზავის პირობები: ლაშქრის დემობილიზაცია, განწმენდა ჯარისაგან ყველა იმ ადგილებისა, რომელნიც დაპყრობილ იქმნა მტრის მიერ 1915 წლიდან, გამოყვანა ავსტრო-გერმანელებისა ბულგარეთიდან, ხელუხლებლობა ბულგარეთის ძველი ტერიტორიისა. ბერლინი. ოქტომბრის 5. **ახალი მთავრობა საბოლოვოდ შესდგა. პირველი ნაბიჯი მისი იქნება—ზავის წინადადება ვილსონის 14 მუხლის საფუძველზე, აღდგენა ბელგეთის და სერბიისა, საფრანგეთის ევაკუაცია, გადასინჯვა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობისა. უარის თქმა ელზას-ლოტარინგიაზე. პასუხი მოკავშირეთაგან ჯერ არ არის.** ბერლინი. გაზეთებს აღეკრძალათ ლენინის წერილის და ც. აღმ. კ. სხდომაზე მის მიერ წარდგენილ ისტორიულ რეზოლუციის დაბეჭდვა. ვენა. ოქტომბრის 5. ეროვნებათა შორის შუღლმა უმწვერვალესობადე მიაღწია. ჩეხებმა და „იუგო-სლავიანებმა“ გადასწყვიტეს მიაღწიონ დამოუკიდებლობას, პოლონელები ავსტრიის პოლონეთის დამოუკიდებლობას ითხოვენ. გერმანელმა ნაციონალისტებმა რაიხსრატის მიტოვება და საკუთარის ნაციონალურ საბჭოს შექმნა გადასწყვიტეს. ვიქტორ ადლერი მოუწოდებს ბრესტის ხელშეკრულობის მოსპობას. მთავრობა ყოველივე ძალღონით სცდილობს მოსპოს ჯარში დეზერტირობა, შემოიღეს დახვრეტა. ჰუნგრეთის მუშები რევოლიუციით იმუქრებიან. ბერლინი. ღვინობისთვის 5. ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯამბოლატმა თანამდებობას თავი გაანება. მოელიან კიდევ ახალ ცვლილებას. ბრესტის ხელშეკრულობა ოსმალეთსა და რუსეთს შორის უარყოფილია (არეულია). ვაშინგტონი, ღვინობისთვის 5. ინგლისმა და ამერიკამ ხელშეკრულობა დასდეს, რომლის ძალითაც მათ შორის ამტყდარი ყოველივე უთანხმოება 10 წლის განმავლობაში გადაწყვეტილ უნდა იქმნას სამედიატორო სასამართლოს საშუალებით. ტაფტი და რუზველტი პროპაგანდას ეწევიან გერმანეთზე კონტრიბუციის დადების შესახებ.

კიევი, ოქტომბრის 6. მოლაპარაკება უკრაინის და რუსეთის შორის შესწყდა. მოსალოდნელია დიპლომატიური განხეთქილება. გერმანელების და ავსტრიელების წასვლის გამო უკრაინაში პანიკაა. დიდი მზადებაა თეთრი გვარდიის შესადგენად. ხარკოვი. დაიწყო რუმინეთთან მოლაპარაკება. მოლაპარაკება დახურულ კარებში სწარმოებს შეთანხმებისთვის სათანადო ნიადაგს ვერ ჰპოულობენ. ხელს უშლის ბესარაბიის საკითხი.

# ომი

**8 ღვინობისთვის ცნობა**

**ბერლინი,** ღვინობისთვის 8. სამხედრო ცნობა. **კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი.** სკარპის ჩრდილოეთით სასტიკ ბრძოლის შემდეგ ინგლისელებმა უას (?) ორივე მხარეზე სასტიკი იერიშები მოიტანეს. მტერი ნუვრეილში გამაგრდა. დანარჩენ ადგილებში ჩვენმა მოწინავე რაზმებმა იგი შეაჩერა.

**ბოინის ლაშქარი.** სენ-კანტენის ჩრდილოეთით ფრანგ-ინგლისელებმა იერიშები განაცხოველეს. ტილუას სიმაღლეებთან იერიშები მოვიგერიეთ.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი.** ელეტში და ენზე წინავე რაზმები იბრძვიან. ბოზონკურტის და სელის შუა შუადღისას მტერი მკაცრ იერიშებს აწარმოებდა. იერიშები მოვიგერიეთ. ადგილობრივი ბრძოლებია სენ-ეტ-იენთან, რომელიც მტერს ხელში ჩაუვარდა. შამპანებში საარტილერიო მოქმედება ძლიერდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჰალვიცის ლაშქარი.** მდ. ენის ორივ ნაპირზე ამერიკელებმა იერიშები ისევ მოიტანეს. მტერი შატელის ჩრდილოეთით სიმაღლეზე დაბინავდა. მაასის დასავლეთით შარპერნტიდან რაიმონზე და ნონტილუადან კიუნელამდე მტერმა იერიშები განაახლა. მძაფრი ბრძოლის შემდეგ მტერი უკუ ვაქციეთ.

### საერთო ვითარება დასავლეთის ფრონტზე

**ბერლინი.** ღვინობისთვის 8. კამბრეს და სენ-კონტენის შუა, შამპანებში და მაასთან ბრძოლა გაცხოველდა. კამბრეს სამხრეთით და სენ-კონტენის ჩრდილოეთით იერიში მოვიგერიეთ. საომარ ასპარეზის ცენტრში მტერმა მცირე ადგილი დაიკავა. შამპანებში და მაასზე მტერი დამარცხდა.

**პარიზი.** ღვინობისთვის 7. (ეიფელის რადიოსადგურიდან). სამხედრო ცნობა. სენ-კონტენის ჩრდილოეთით ფრანგებმა შეერთებულ ინგლისელთა ჯარით დღეს დილით იერიში მიიტანეს გერმანულ სანგრებზე 10 კილომეტრიან ასპარეზზე. მიუხედავად ბრძოლის სისასტიკისა, იგინი შეიჭრნენ მტრის სანგრებში და თვალსაჩინოდ წაიწიეს. ფონტენ-უტერტი, ბელენკურტის ფერმა ფრანგების ხელშია. თვისი ხაზი ესენი-ი-პტის ტყესთან მიიტანეს. აიღეს ტილუას აღმოსავლეთით მდებარე ტყეები, „134“ სიმაღლე და სოფ. რუნუაზე იერიშით მივიდნენ. ჯერჯერობით 1200 ტყვე გვყავს. სიუიპის ფრონტზე ბრძოლა დღე-ღამის განმავლობაში არ დაწყნარებულა. გერმანელებმა სტრონკიდზე და ხიდთან იერიშები მოიტანეს. გერმანელები რამდენჯერმე შეეცადნენ ბაზოკურტიდან ჩვენს განდევნას, მაგრამ ამაოდ. არნის ჩრდილოეთით ფრანგ-ამერიკელები ისევ იმარჯვებენ. სენ-პიერ-აარნის ჩრდილოეთით 3 კილომეტრზე დასწიეს გერმანელები. მდ. ენის მარჯვენა ნაპირზე ოტრის ჩრდილოეთიდან ტყვეები მოვლალეთ.

## იტალიის ასპარეზი

**ვენა.** ღვინობისთვის 8. სალ. ცნობა. ტიროლის სამხრეთ ასპარეზზე ბრძოლა ძლიერდება. ქვეითი ჯარის აგრესიული მოქმედება დავაყუჩეთ.

### ბალკანეთის კუნძული

**ვენა.** ღვინობისთვის 8. ძველ სერბიულ საზღვარზე ჩვენმა არიერგარდებმა ლესკოვაკზე დაიხიეს.

## ბრძოლა ოსმალებსა და ბიჩერახოვის შორის

ჩრდილოეთ კავკასიაში ოსმალთა ძლიერი რაზმები გადასულან. ბიჩერახოვს გადაუწყვეტია ოსმალთა წინსვლას საზღვარი დაუდოს. ბაქოდან ჩამოსულთა სიტყვით ხაჩმაზსა და დერბენტს შუა ბიჩერახოვის რაზმი ოსმალებს შებრძოლებია. ბრძოლა გრძელდება.

## ყარაბაღში

ბაქოდან მოსულ ცნობებით ოსმალებს ენერგიული ზომები მიუღიათ ყარაბაღელების წინააღმდეგ. მათ უკვე აუღიათ დაბა ასკერანი და მთელი ასკერანის ხეობა დაუპყრიათ. ოსმალებს განზრახვა აქვთ უსისხლოდ დაიმორჩილონ ყარაბაღი. ამ მიზნით მათ დელეგაცია გაუგზავნეს ყარაბაღელ სომხებს, რომ დამორჩილდნენ და იარაღი დაჰყარონ.

## სომეხთა ცხოვრება

**ზრუნვა სომეხ ტყვეებზე.** საქართველოს მთავრობასთან სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის ჯამალიანის მონაწილეობით შესდგა თათბირი ოსმალეთიდან დაბრუნებულ სომეხ სამხედრო ტყვეებზე და დასახიჩრებულ მეომრებზე ზრუნვა. დაადგინეს ეს საკითხი საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს გადასცენ, ხოლო ლტოლვილთა საბჭო თავის მხრით დახმარებას დაჰპირებია.

**დახმარება ლტოლვილებს.** სომეხთა ეროვნულ საბჭოს ლტოლვილთა განყოფილება მოკლე ხანს თბილისში ხსნის სამედიცინო პუნქტს ლტოლვილთათვის. ამ მიზნით გადაუდვიათ 18,600 მანეთი. სამედიცინო პუნქტის მოსამსახურენი დაივლიან ქალაქს და ავადმყოფ ლტოლვილებს შეჰკრებენ მოსავლელად.

საქსოვი ქარხნის გახსნა ლტოლვილთათვის. სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება „მზრუნველს“ ლტოლვილთათვის ცენტრში საქსოვი ქარხნის გასახსნელად 50,000 მან. ლტოლვილთათვის საქსოვ ქარხნის გასახსნელად. ამ ქარხანაში იმუშავებენ ლტოლვილნი.

## ბაქო

### ნური-ფაშა.

4 ენკენისთვეს კავკასიის ლაშქრის მთავარ-სარდალმა ფერიკ ნური-ფაშამ ადერბეიჯანის მინისტრ-პრეზიდენტის ფ. ხოისკის, მთავრობის შემადგენლობით, მურსალ-ფაშის, გერმანელ და ავსტრიელთა აფიცრების და ბრწყინვალე ამალის თანხლებით დაათვალიერა ალექსანდრე ნეველის ტაძარი, სადაც სამშვიდობო სიტყვა წარმოსთქვა.

**ბაქოდან ნავთის ჩამოტანის საქმე.**

ბაქოდან ჩამოსულ გზათა ინჟენერის ტოლსტონოგოვის სიტყვით, ბაქოდან ნავთის ჩამოტანის საქმე ასეა:

ბაქოში ჩასვლისთანავე ქართულ კომისიის მეთაურმა გენ. მაღალოვმა ინახულა ხან-ხოისკი, ხოლო კომისიის დანარჩენ წევრებმა გზათა მინისტრი მელიქ-ასლანოვი და ვაჭრობა-მრეწველობის აშუროვი. კომისიის წევრები თავაზით მიიღეს. ადერბეიჯანის მთავრობა ჰსთანხმდება საქართველოში ნავთის გაზიდვაზე. მაგრამ საქმეს აფერხებს ნავთის მესაკუთრის საკითხი. საქმე იმაშია, რომ ნავთი საბჭოთა ნაციონალიზაციას ჩაუვარდა. ახლა ბაქოსთან ერთად ნავთიც ადერბეიჯანისაა და იგიც მთავრობამ უნდა გაჰყიდოს. ადერბეიჯანის მთავრობა თანახმაა ფულზე გაჰყიდოს ნავთი, ხოლო მისთვისაც სასურველია, რომ საქართველოდან ზოგიერთი საქონელი გაზიდოს. ადერბეიჯანს განსაკუთრებით უჭირს ლითონი, სამანქანო ნაწილები, ავტომობილი და ცისტერნები.

თავაზიანობისა და მეგობრულ დამოკიდებულების ნიშნად გზათა მინისტრმა გარეშე ყოველ პირობათა და ხელშეკრულობისა 30 ცისტერნი ნავთი გაუგზავნა. ამავე მინისტრმა ხელშეკრულობის შემდეგ საქართველოს დაჰპირდა 50 ცისტერნ. დღეში. ნავთის სამრეწველოებში მუშაობა განახლდა. ბაქოში ამ ჟამად 100 მილიონი ფუთი ნავთია დაბანდებული. ნავთსადენიც შეკეთებულია და მოქმედებას ერთ თვეში დაიწყობს.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ნ. ქარცივაძე უკვე ბაქოში იმყოფება. ახლო-მომავალში საქართველოს დიპლომატიურ მისიასთან დაარსდება სპეციალი სანავთო და ტრანსპორტის კომისია. განჯასა და ბაქოს შუა რკინის გზას ანახლებენ. ყველა სადგურები უკვე მოაწესრიგეს.

## რუმინიის ინტრიგები

ამ სათაურით გერმანულ ოფიციოზურ „ნორდდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგში“ საყურადღებო წერილია მოთავსებული, რომელიც ნათელჰყოფს, რომ რუმინიაში ბოლო დროს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მზადდება. გაზეთი სწერს რომ იასში და ჩრდილო-აღმოსავლეთ მოლდავიაში, სადაც გერმანული ჯარი არა სდგას და ამიტომ შეთანხმების სახელმწიფოების გავლენა უფრო ძლიერია, ტენდენციური და გადაჭარბებული სამხედრო ცნობების გამო ხალხს დიდი მღელვარება ეტყობა, რაიცა ხელს უშლის მარგილომანის (ახლანდელი გერმანოფილი მინისტრ-პრეზიდენტის) პროგრამის განხორციელებას. აგიტაციის მიზანს წარმოადგენს რუმინიის ხელახლა ომში ჩარევა შეთანხმების მხარეზე და ცენტრალური კავშირის წინააღმდეგ. აგიტატორების აზრით მოვიდა დრო, როცა რუმინიას შეუძლია დაკარგული პროვინციებიც უკან დაიბრუნოს და ახალი ტერიტორიაც შეიძინოს. მოძრაობის სულის ჩამდგმელია დედოფალი, რომელიც სრულიადაც არ მალავს თავის ცნობილ პოლიტიკურ სიმპატიებს. მეფე დღესაც გარეგნულად თავდაჭერილია ისევე, როგორც 1916 წელს იყო; მაგრამ უეჭველია რომ თუ გარემოებამ მოითხოვა, ეხლაც, ისევე როგორც მაშინ, ადვილად დაექვემდებარება სხვების ნებისყოფას. მეფის წული ამ წუთში რუმინიაში არ იმყოფება, ისედაც კერძო მოტივების გამო ნაკლებ ერევა პოლიტიკაში.

მარგილომანის მთავრობას ასეთი ინტრიგების წინაშე დიდი პასუხისმგებლობა აწევა თავზე. პარლამენტი არჩეულია ბუქარესტის ზავის პლატფორმის მიხედვით და ეთანხმება მთავრობის პროგრამმას. მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობას კი სურს ხელახლა ლიბერალური პარტია გაახატონოს და სახელმწიფოს სადავე ხელში ბრატიანუს მისცეს. ეს იქნებოდა იმ ფანტასტიური პლანების ხელახლა მკვდრეთით აღდგენა, რომელმაც რუმინია დაღუპვის კარებამდე მიიყვანა. არც ავსტრია-ჰუნგრეთს, არც გერმანიას არ შეუძლია გულ-გრილად იყოს ასეთი პერსპექტივის წინაშე. მაგრამ ბერლინის ოფიციოზურ გაზეთს იმედი აქვს, რომ კეთილგონიერი ელემენტები გაიმარჯვებენ რუმინიაში და მარგილომანის კაბინეტი შესძლებს რუმინელი ერი ახალ განსაცდელს ააცდინოს.

## რუსეთში.

**დ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე**

ხარკოვის გაზეთები იუწყებიან, რომ მონარქიულ ორგანიზაციებმა, აგრეთვე მოხალისეთა ლაშქარმა კაცები გაუგზავნა ყოფილ დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, რათა მან მიიღოს მათზედ უზენაესი მთავარ-სარდლობა.

**მემარჯვენეთა თათბირი.**

კიევში ამ ჟამად მრავალი პოლიტიკური მემარჯვენე მოღვაწე ჩამოვიდა. მათ გამართეს თათბირი, რომელზედაც განიხილეს სრულიად რუსეთის საჭირბოროტო საკითხები. თათბირს ხელმძღვანელობს სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი გ. ზამისლოვსკი, რომელიც თათბირზე ეკატერინოდარიდან ჩამოვიდა. ზამისლოვსკის გარდა მქომაში მონაწილეობენ აგრეთვე ყოფილი სტატს-მდივანი კრიჟანოვსკი და სახელმწიფო საბჭოს ყოფილი წევრი გურკო.

**აფეთქება**

ნიკოლაევში მიღებულ ცნობით შოსტკის (?) თოფის წამლის საწყობში მოხდა დიდი აფეთქება, რომელმაც აუნაზღაურებელი ზარალი მოიტანა.

## თეატრი და მუსიკა

**ქართული დრამატიული დასი.**

თბილ. ქართ. დრამ. საზოგადოებამ დაარსა ახალი დასი. დასის შემადგენლობა შემდეგია: ქ-ნი: აბაზაძე ე., ამირაჯიბი გ., ანჯაფარიძე ვ., გამრეკელი ბ., გამრეკელი ნ., გურგენიძე ვ., ერისთავი ე., მჭედლიშვილი ნ., ქიქოძე ა., ლოლობერიძე თ., ჩიკვინიძე ლ., ციმაკურიძე ე., წერეთელი ნ., ჯავახიშვილი ქ.; ბ-ნნი: ახსაბაძე ტ., არაბიძე ვ., გელოვანი მ., ვასაძე ა., ზარდალიშვილი ი., იმნაძელი გ., კობახიძე ვ., ლორთქიფანიძე მ., მჟავია დ., სარჩიმელიძე გ., სუმბათაშვილი კ., ფანიაშვილი ლ., ციბაძე ნ., ცხაკაია პ., წერეთელი ი., ჰიაურელი მ., ხერხეულიძე მ., ჯიქია ვ.

სუფლიორი გ. გურული.

რეჟისორები: ფალავა ა., შათირიშვილი კ., მთავარი რეჟისორი და დასის გამგე გიორგი ჯაბადარი.

სეზონი გაიხსნება ნოემბრის პირველ რიცხვებში თბილისის არტისტიულ თეატრში.

პირველი ნაწილი რეპერტუარისა:

1. **„სარწმუნოება“.** მუსიკალური დრამა ხუთ მოქმედებიანი, ბრიოზი, მუსიკა სენ-სასისა, თარგმანი ფრანგულიდან გიორგი ჯაბადრის მიერ. (ეს თარგმანი შესწორებულია ვალ. შალიკაშვილის და დავით კასრაძის მიერ).
2. **ვითაფოთლები**—პიესა ოთხ მოქმედებად ჯაიაკოსსასი, თარგმანი ფრანგულიდან გიორგი ჯაბადრის მიერ.
3. **ბურუსი**—პიეს. სამ მოქმედებად სიო ჰანტურიშვილისა.
4. **ავგაროზი**—პიესა-ზღაპარი ოთხ მოქმედებად შალვა შარაშიძისა.
5. **მარიამ მაგდალინელი**—პაულ ჰაისსისა.
6. **ღალატი**—პიესა ხუთ მოქმედებიანი ა. სუმბათაშვილისა.

სეზონი გაიხსნება ხუთ მოქმედებიან ბრიოს პიესით (მუსიკა სენსასისა) „სარწმუნოება“.

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**


## განცხადებები

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9, 10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

ვღებულობ ყოველნაირ საქმის ქაღალდს

## ქართულ მანქანაზედ გადასაბეჭდავათ,

თომას ქუჩა, № 28, შესასვლელი სინოდალური ქუჩა № 1.

## ქართულის კარგი მცოდნე

კისრულობს: მოხსენებათა, პროექტების, წერილების წესდებათა და სხვა ქაღალდების თარგმნას.

მიჰმართეთ „საქართველოს“ რედაქციაში მდივანს, დილის, 9 სათიდან 3 საათამდე. საღამოობით წყნეთის ქუჩა № 30. (1—1022—1

**ვამზადებ** ქართულ ენაზე **ბავშვებს**

1-ლ და მე-2-რე კლასისთვის, ჩემ შვილებთან ერთად. მოსწავლეთა რიცხვი შესდგება ორი ჯგუფისაგან. ჯგუფში მხოლოდ 5 ბავშვი იქნება მიღებული. ქართულ ენაში ჩამორჩენილ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ახალი ენები მსურველთათვის განსაკუთრებულ ფასში.

მოსალაპარაკებლად 4—7 საათამდე. ნოვობებუთოვის ქუჩა 9. მეორე სართულში. ბინა № 4. **ტელეფონი 10—02.** (2—1791)

## ინტელიგენტ ქალთა წრე

**იღებს შესაკერავებს** როგორც საზეიმო, აგრეთვე საშინაო და საგარეო კაბებისას და „კოსტიუმებისა“-ს როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშთათვის, ყოველგვარ მხატვრულ საქარგავ-საქსოვებს. „წრის“ სკოლაში მოწაფეებთან მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან; მოწაფეების მიღება უკვე სწარმოებს (ღარიბები უფასოთ). აქვე მიიღება „მერეჟკები“. სკოლა უფლებებით აღჭურვილია. ვერის დაღმართი, სახლი № 3, ბანა 9. შესავალი წიგნის მაღაზიის გვერდით.

10—7

ექიმი

### ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—50

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

### გ. გ. მეგრაბიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

ქირ. და ქალთა სნეულებ. ს

### საავათმყოფო

ექიმი [illegible] ბაქრაძე [illegible]

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

გაიხსნა

### თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

### ექიმი დ[illegible]ნისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

### ალექსანდრე დავითის ძ. ჰეკილიანი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

ექიმი

### შ. [illegible]

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

### სამკურნალო

უფასოდ ავადმყოფთათვის ექიმ [illegible] და [illegible]

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37. [illegible]

დოქტორი მედიცინისა

[illegible]

### კალანდარიშვილი

[illegible] ტელეფონი № 17—21.

# ამიერ-კავკასიის ბანკი

## მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრების ამა წლის 14 იანვრის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა, ამიერ-კავკასიის ბანკი ადიდებს ძირითად თანხას **3,000,000 მანეთიდან 6,000,000 მანეთამდე 12,000 აქციათა მეორე გამოცემით,** თითო აქციის ოცდახუთ თუმნის ნორმალური ღირებულებით შემდეგი პირობით:

1) **გამოსაცემი ფასი** ამ აქციებისა დანიშნულია **300 მანეთი**—თითო აქციაზე, რომელი თანხაც სრულად უნდა გადახდილ იქნეს აქციაზე ხელის მოწერის დროს.

2) შემოსული ფულიდან: ოცდახუთი თუმანი ჩაირიცხება ძირითად თანხაში, ოთხი თუმანი სათადარიგო თანხაში და დანარჩენი ერთი თუმანი აქციის დასამზადებელ ხარჯებისა და მისი სალერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.

3) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა მეპატრონეთ: **ძველ აქციაზე დაეთმობათ თითო ახალი აქცია.**

4) მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა დაიწყება **1918 წლის 1 ოქტომბრიდან** ქვემოთ ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებში და გაგრძელდება: **ა) თბილისში,** ამიერ-კავკასიის ბანკში **1918 წლის 1 დეკემბრამდე ბ) ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სიღნაღში, გორში, ხონში, სენაკში, ჭვირილაში, კავკავში** საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში და ბაქოში—**ნ. ჯაყელთან 1918 წლის 15 ნოემბრამდე.**

5) როდესაც ბანკის ახლანდელი აქციონერები დაკმაყოფილებული იქნებიან **თითო აქციით ყოველ ძველ აქციაზე,** გაუნაღდებელი აქციათა შეძენის უპირატესობა ენიჭებათ პირველი გამოცემის აქციების ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკვეთილი აქციათა ღირებულების პირველი ნახევარი შემოტანილი აქვთ და მეორე ნახევარი არ შემოიტანეს, რის გამოც დაეკარგათ აქციების შეძენის უფლება.

ამ პირებმა შესაფერი განცხადება და აქციათა ფასი უნდა წარუდგინონ მეოთხე მუხლში ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებს და პირს იქვე აღნიშნულ დროს განმავლობაში.

6) გაუნაღდებელი აქციები, მას შემდეგ, როდესაც 5-ე მუხლის თანახმად დაკმაყოფილებული იქნებიან ის პირნი, რომელთაც აქციათა შეძენის უფლება დაკარგული ქონდათ, განაწილდება პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეთა შორის; ამათ მე 4-ე მუხლში აღნიშნულ ვადაში უნდა განაცხადონ თუ რამდენი აქციის შეძენა სურთ მეორე გამოცემის პირობების თანახმად; თუ მათ მიერ მოთხოვნილი აქციათა საერთო რიცხვი აღემატება გაუნაღდებელი აქციათა რაოდენობას, იმ შემთხვევაში განცხადებების ძალით და პირველი გამოცემის წარმოდგენილ აქციების მიხედვით მოხდება აქციების შესაფერი განაწილება.

7) აქციებზე ხელის მოწერის დროს აქციონერები მოვალენი არიან თავიანთი დროებითი მოწმობები ცალკე განცხადებასთან წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

8) ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკარგული აქვთ პირველი გამოცემის აქციათა შეძენის უფლება და სურთ ისარგებლონ 5-ე მუხლში აღნიშნულ უფლებით აქციათა მეორე გამოცემის დროს, ვალდებულნი არიან საორგანიზაციო კომიტეტის „კვიტანცი“ები წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

9) ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ განცხადებებს მოწმობებით და „კვიტანცი“ებით და აღნიშნულ ვადაში სრულიად არ გადაიხდიან აქციათა ღირებულებას, მეორე გამოცემის აქციათა შეძენის უფლებას კარგვენ.

10) ახალი აქციონერები ბანკის **მოგებაში (დივიდენდი) იღებენ მონაწილეობას 1919 წლის პირველ იანვრიდან ისე,** როგორც პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეები.

11) [illegible]

**შენიშვნა:** [illegible] **1918 წლის 1-ლ ნოემბრისათვის.**

10—4


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, [illegible] შესახვევი № 1.